

დამზღვევის სადაზღვევო კითხვარი-განაცხადი

1. შევსების თარიღი - [02][12].2020 წ.
2. ორგანიზაციის დასახელება [სსიპ მწერალთა სახლი]ს/კ [204595072]
3. საკონტაქტო ინფორმაცია: []

	სახელი, გვარი	ტელეფონი	ელ. ფოსტა
ორგანიზაციის დირექტორი/ხელმძღვანელი პირი	[ნატალია ლომოური]	[577573232]	[info@writershouse.ge]
საკონტაქტო პირი	[ნინო გოგიტიძე]	[599584434]	[info@writershouse.ge]

4. აღწერეთ რა საქმიანობას ეწევა ორგანიზაცია/მისი თანამშრომლები [მწერლობა]
5. იყავით/ხართ თუ არა სხვა სადაზღვევო კომპანიაში დაზღვეულები („+“ დაუსვით სწორ პასუხს, „-“ - არასწორს):

[] დიახ	[] არა
----------	---------

დადებითი პასუხის შემთხვევაში

 - 5.1. მიუთითეთ სადაზღვევო კომპანია - []
 - 5.2. ადგილი ხომ არ ქონია ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას („+“ დაუსვით სწორ პასუხს, „-“ - არასწორს):

[] დიახ	[+] არა
----------	----------

5.2.1 დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ ვისი ინიციატივით შეწყდა ხელშეკრულება („+“ დაუსვით სწორ პასუხს, „-“ - არასწორს):

[] მზღვეველი	[] დამზღვევი
---------------	---------------
6. ახორციელებს თუ არა დამზღვევი დაზღვევის პრემიის გადახდას სახელმწიფოს საბიუჯეტო სახსრებით

[] დიახ	[] არა
----------	---------
7. ორგანიზაციის თანამშრომელთა საერთო რაოდენობა (100%) - [22]
 - 7.1. ქალი თანამშრომელი - [14]
 - 7.2. მამაკაცი თანამშრომელი - [8]
8. თანამშრომელთა საშუალო ასაკი - [35-40]
9. დაოჯახებულ თანამშრომელთა რაოდენობა - []
10. თანამშრომელთა გადანაწილება სამუშაო პოზიციების მიხედვით

	უმალესი რგოლი	საშუალო რგოლი	რიგითი თანამშრომელი	სხვა
რაოდენობა	[1]	[2]	[18]	[]
საშუალო სახელშეკრულებო ვადა	[]	[]	[]	[]

11. აქვს თუ არა ორგანიზაციას ფილიალები

[] დიახ	[+] არა
----------	----------

დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ მიუთითოთ ადგილმდებარეობა და თანამშრომელთა რაოდენობა ფილიალების მიხედვით [-----

 -----]

ორგანიზაციის დირექტორი/ხელმძღვანელი პირის ხელმოწერა

_____/[ნატალია ლომოური]

ქ. თბილისი

სს სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი (204426674) (შემდგომში „მზღვეველი“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ბ/ნ პაატა ლომიძისა და ფინანსური დირექტორის ბ/ნ ლევან ზურაბიშვილის მინდობილი პირის სამედიცინო დირექტორის ბ/ნ ბესიკ ფესტვენის მიერ და [სსიპ მწერალთა სახლი] (შემდგომში დამზღვევი) წარმოდგენილი მისი [დირექტორი] ქ-ნ [ნატალია ლომოური] მიერ მეორეს მხრივ, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას მზღვეველის მიერ დამტკიცებული დაზღვევის საერთო წესების შესაბამისად შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. წინამდებარე ხელშეკრულება ითვალისწინებს მზღვეველის ვალდებულებას გაუწიოს დაზღვეულს მისი ფინანსური ინტერესის დასაცავად, დამზღვევის მიერ სადაზღვევო ხელშეკრულებაში შეთანხმებული გადახდის გრაფიკის დაცვის სანაცვლოდ დანართით # 1 განსაზღვრული სადაზღვევო მომსახურება, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და წესით.
- 1.2. დაზღვევის შესახებ დამზღვევის სადაზღვევო კითხვარი-განაცხადი, წინამდებარე ხელშეკრულების დანართები (დანართი # 1 - დაზღვევის პირობები; დანართი # 3 - დაზღვეულთა სია), ცვლილებები, წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. განსაზღვრებანი

ქვემოთ მოცემული ყოველი განსაზღვრება ინარჩუნებს აღნიშნულ მნიშვნელობას ამ დოკუმენტის ნებისმიერ ნაწილში.

- 2.1. **მზღვეველი** – სს «სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი»
- 2.2. **დამზღვევი** – «სსიპ მწერალთა სახლი»
- 2.3. **დაზღვეული** - დამზღვევის მიერ წარმოდგენილი წინამდებარე ხელშეკრულების დანართი # 3- ში მითითებული პირები, რომელთა სასარგებლოდაც ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევა.
- 2.4. **თანამშრომელი** - პირი, რომლებიც იმყოფება დამზღვევთან შრომით ურთიერთობაში.
- 2.5. **ოჯახის წევრი** – თანამშრომლის მეუღლე და შვილი/გერი (ნათესაური კავშირი დასტურდება ქორწინების/ჯვრისწერის ან დაბადების/ შვილად აყვანის მოწმობით).
- 2.6. **ასაკობრივი ლიმიტი** – დასაზღვევი პირის ასაკობრივი ზღვარი სადაზღვევო პერიოდის დასაწყისში.
- 2.7. **მოსარგებლე** – პირი, რომელიც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება.
- 2.8. **სადაზღვევო ბარათი** - სადაზღვევო პირობებით გათვალისწინებულ მომსახურებათა ჩამონათვალი, დაფარვა, ლიმიტი.
- 2.9. **საიდენტიფიკაციო ბარათი** - პლასტიკური ბარათი, რომელსაც ფლობს დაზღვეული დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე და რომელიც ასახავს მის სასარგებლოდ განხორციელებულ დაზღვევას.
- 2.10. **სადაზღვევო შემთხვევა** – წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადებში დამდგარი და ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული შემთხვევები, რომელთა დადგომისას მზღვეველს წარმოეშება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
- 2.11. **დაუზღვეველი შემთხვევა** – გარემოებები, მომსახურებები რომელზეც საერთოდ არ ვრცელდება დაზღვევის მოქმედება – ეს უკანასკნელი საერთოდ არ არის მოხსენებული სადაზღვევო ხელშეკრულებაში, სადაზღვევო პირობებით გათვალისწინებულ მომსახურებათა განმარტებებში და/ან დაზღვეულის სადაზღვევო ბართში.
- 2.12. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა** – პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სადაზღვევო ხელშეკრულება არის ძალაში.
- 2.13. **სადაზღვევო პერიოდი** – დროის შუალედი, რომლის განმავლობაშიც მოქმედებს დაზღვევა და სადაზღვევო შემთხვევა ექვემდებარება ანაზღაურებას. მზღვეველის მიერ ანაზღაურდება ამ პერიოდში მომხდარი სადაზღვევო შემთხვევები მხოლოდ სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე.
- 2.14. **სადაზღვევო პრემია** – დამზღვევის მიერ გადასახდელი სადაზღვევო ბარათის წლიური ღირებულება.
- 2.15. **სადაზღვევო ანაზღაურება** – სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მოსარგებლისთვის გადასახდელი თანხა.
- 2.16. **გეოგრაფიული ლიმიტი** – დაზღვევის მოქმედების გეოგრაფიული არეალი, გარდა ხელშეკრულების დანართით პირდაპირ განსაზღვრული შემთხვევებისა წინამდებარე დაზღვევა მოქმედებს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე მისი იურისდიქციის მოქმედების ფარგლებში.
- 2.17. **პროვაიდერი სამედიცინო დაწესებულება** – სამედიცინო დაწესებულება, რომელიც მზღვეველთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაზღვეულს აღმოუჩენს შესაბამისი სამედიცინო დახმარებას სადაზღვევო ხელშეკრულებითა და ბარათით განსაზღვრული მომსახურების ფარგლებში.
- 2.18. **მოცდის პერიოდი** - პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაზღვეულს მზღვეველის მიერ არ აუნაზღაურდება მომსახურების ხარჯები.
- 2.19. **დაფარვა** – სადაზღვევო ბარათში მითითებული პროცენტული წილი, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი კისრულობს ვალდებულებას აუნაზღაუროს დაზღვეულს სამედიცინო მომსახურების ხარჯები.
- 2.20. **თანაგადახდა** – დაზღვეულის მიერ გადასახდელი სამედიცინო მომსახურებისათვის მთლიანი ღირებულების ნაწილი.

- 2.21. ლიმიტი** – სადაზღვევო ბარათში მითითებული ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი კონკრეტული მომსახურებისთვის, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი კისრულობს ვალდებულებას აუნაზღაუროს დაზღვეულს სამედიცინო მომსახურების ხარჯები.
- 2.22. სადაზღვევო თანხა** – ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი კისრულობს ვალდებულებას აუნაზღაუროს დაზღვეულს სამედიცინო მომსახურების ხარჯები.
- 2.23. მიმართვა/საგარანტიო წერილი** - დაზღვეულის მოთხოვნის საფუძველზე და სათანადო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით მზღვეველის მიერ გაცემული ვადიანი წერილობითი ან ელექტრონული დოკუმენტი, ელექტრონული რეცეპტი, რომელიც წარედგინება/მიეწოდება პროვაიდერ სამედიცინო დაწესებულებას.
- 2.24. დაზღვევის უწყვეტი პერიოდი** - მინიმუმ ერთწლიანი პერიოდი, როდესაც პირი დაზღვეული იყო და უწყვეტად აგრძელებს დაზღვევას წინამდებარე ხელშეკრულებით ისე, რომ სადაზღვევო პერიოდს შორის წყვეტა არ აღემატება 14 თანმიმდევრულ დღეს.
- 2.25. ფრანშიზა** - ზარალის ნაწილი, რომელიც აკლდება სადაზღვევო ანაზღაურებას და იფარება დაზღვეულის მიერ.
- 2.25.1. პირობითი ფრანშიზა** - ზარალის დადგომის შემთხვევაში მზღვეველი არ ანაზღაურებს ზარალს, თუ მისი სიდიდე არ აღემატება ფრანშიზის სიდიდეს; ხოლო თუ ზარალი მეტია ფრანშიზაზე, ზარალი ანაზღაურდება სრულად (სადაზღვევო ბარათით განსაზღვრული პირობებით).
- 2.26. პალატა**
- 2.26.1. სტანდარტული პალატა** - პალატა, რომლის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა სრულად უზრუნველყოფს სამედიცინო სერვისის სრული მოცულობით მიწოდებას.
- 2.26.2. არასტანდარტული პალატა** - ინდივიდუალური კომფორტის მიზნით გაუჯობესებული პალატა.
- 2.26.3. რენიმაციული პალატა** - პალატა, რომლის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა სრულად უზრუნველყოფს რენიმაციული და/ან ინტენსიური ღონისძიებების სრული მოცულობით მიწოდებას.
- 2.27. საწოლდე** - სტაციონარული ტიპის სამედიცინო დაწესებულებაში ღამისთევით მიღებული მომსახურება.
- 2.28. გეგმიური სამედიცინო მომსახურება** - ითვალისწინებს დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის ისეთ გაუარესებას, როდესაც მომსახურების გადავადება დაზღვეულის ჯანმრთელობას არ აყენებს ზიანს და რომელიც იგეგმება პაციენტისთვის, ექიმისთვის და/ან სამედიცინო დაწესებულებისათვის მოსახერხებელ დროის მონაკვეთში.
- 2.29. გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება** - ითვალისწინებს დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებულ სამედიცინო ღონისძიებებს, რომელთა 24 საათზე მეტი ხნით გადავადება იწვევს ჯანმრთელობის მდგომარეობის შეუქცევად ცვლილებებს, დანავალიდებას და/ან ლეტალურ გამოსავალს.

3. ძირითადი დებულებები

- 3.1.** წინამდებარე დაზღვევა ეფუძნება დამზღვევის სადაზღვევო კითხვარი-განაცხადში მითითებულ ინფორმაციას. თუ მზღვეველს არ მიეწოდა ინფორმაცია და/ან ინფორმაცია შეიცავდა არასწორ მონაცემებს, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება დაზღვევით ნაკისრი ყოველგვარი მოვალეობის შესრულებისაგან.
- 3.2.** მზღვეველი თავისუფლდება დაზღვევით ნაკისრი მოვალეობის შესრულებისგან სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდგომაც, თუ გარემოებამ, რომლის შესახებაც დაირღვა ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება გავლენა იქონია სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე და მზღვეველის მოვალეობის შესრულებაზე.
- 3.3.** ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო მომსახურება ვრცელდება და შესაბამისად ანაზღაურდება მხოლოდ იმ სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანი/მისი ნაწილი რომლის ანაზღაურებაც არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო ან ადგილობრივი, თუ სხვა სამედიცინო პროგრამებით ან სხვა სადაზღვევო კომპანიების დაზღვევით (მიუხედავად აღნიშნული დაფინანსების/პროგრამის ამოქმედების ვადისა), წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და წესით.

4. სადაზღვევო პრემია, მისი გადახდის წესი და პირობები

- 4.1.** წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე დამზღვევის მიერ, დაზღვეულთა სასარგებლოდ, გადასახდელი პრემია ყოველთვიური გადახდისას დაანგარიშდება დაზღვეულთა რაოდენობისა და სადაზღვევო ბარათის ყოველთვიური (სადაზღვევო პრემიის 1/12 ნაწილი) პრემიის შესაბამისად.
- 4.2.** სადაზღვევო პრემიის გადახდა ხორციელდება თვის [25] რიცხვში, ამასთან პირველი გადახდა ხორციელდება [25 |12|.2020]-ში.
- 4.3.** სადაზღვევო პრემია თვეში ხელშეკრულების გაფორმების თარიღისთვის შეადგენს [1 589.00 (ათას ხუთას ოთხმოცდაცხრა)] ლარს.
- 4.4.** დამზღვევი ვალდებულია ანგარისწორება მოახდინოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით, ჯამურად ყველა დაზღვეულ პირზე ინვოისის წარდგენის საფუძველზე ერთიანი გადახდის გზით. თუ თანხის გადახდის დღე დაემთხვა არასამუშაო დღეს, ამ დღის ნაცვლად გამოიყენება მომდევნო სამუშაო დღე.
- 4.5.** პრემიის გადახდა მოხდება უნაღლო ანგარიშსწორებით. თანხა, გადახდილად იქნება მიჩნეული მისი მზღვეველის ანგარიშზე ფაქტობრივი ჩარიცხვის შემდეგ.
- 4.6.** დამზღვევის მიერ პრემიის სადაზღვევო ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობით და წესით გადაუხდელობისას მზღვეველი დამზღვევს განუსაზღვრავს ორკვირიან ვადას არსებული დავალიანების აღმოსაფხვრელად. დავალიანების აღმოფხვრამდე სადაზღვევო ხელშეკრულება შეჩერდება. სადაზღვევო ხელშეკრულება განახლდება მხოლოდ დამზღვევის მიერ პრემიის გადახდის შემდეგ. დავალიანების დაფარვის შემდგომ მზღვეველი დავალიანების პერიოდში დამდგარ შემთხვევებს აღარ განიხილავს სადაზღვევო შემთხვევად და ამ პერიოდში დამდგარი შემთხვევა მზღვეულის მიერ არ ანაზღაურდება. იმ შემთხვევაში თუ დამზღვევის მიერ არ იქნა დავალიანება გადახდილი წერილით განსაზღვრულ ვადაში, წერილის გაგზავნის

თარიღიდან 1 თვის ვადაში ხელშეკრულება ჩაითვლება შეწყვეტილად ასეთ შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია მოსთხოვოს დამზღვევეს და თავის მხრივ დამზღვევი ვალდებულია გადაუხადოს მზღვეველს მოკლევადიანი დაზღვევის პრემია.

4.7. ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება არ ათავისუფლებს დამზღვევეს სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულებისაგან.

5. ხელშეკრულების ცვლილებების განხორციელებისა და შეწყვეტის პირობები

5.1. დაზღვეულ პირთა დამატება-გაუქმება ხორციელდება თვეში ორჯერ - დამატების ხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების ვადის პირველ რიცხვსა ([13]) და ამ თარიღიდან ორი კვირის შემდგომ ([25]), გაუქმება ხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების ვადის პირველ რიცხვამდე ერთი დღით ადრე ([12]) და ამ თარიღიდან ორი კვირის შემდგომ ([24]).

5.2. დაზღვეულ პირთა სიაში ცვლილებების (დამატება, გაუქმება) მოთხოვნა მზღვეველს უნდა ეცნობოს ელექტორული პორტალის საშუალებით (რომელიც განთავსებულია მისამართზე corporate.gpih.ge) ან წერილობით, მზღვეველის მიერ მითითებული ფორმით, ცვლილებების ძალაში შესვლამდე 5 სამუშაო დღით ადრე. ვადის დარღვევის შემთხვევაში ცვლილება განხორციელდება მომდევნო ცვლილების თარიღში (ამ თარიღისთვის განსაზღვრული დაზღვევის პირობებით).

5.3. დაზღვეულ პირთა სიაში დამატების შესახებ შეტყობინება უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: დაზღვეულის (თანამშრომლის) სახელი, გვარი; პირადი ნომერი; დაბადების თარიღი; მისამართი, ტელეფონი; სამუშაო ადგილი და თანამდებობა; სამსახურებრივი სტატუსი; ოჯახური სტატუსი; სამსახურში აყვანის თარიღი და სამსახურში აყვანის ბრძანების ნომერი; სადაზღვევო ბარათი და მისი ტიპი; ოჯახის წევრის შემთხვევაში - სახელი, გვარი; დაბადების თარიღი; პირადი ნომერი; მისამართი, ტელეფონი; სტატუსი დაზღვეულ თანამშრომელთან მიმართებაში.

5.4. დაზღვეულ პირთა სიაში გაუქმების შესახებ წერილობითი შეტყობინება უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: დაზღვეული (თანამშრომლის) სახელი, გვარი; პირადი ნომერი; დაბადების თარიღი; სამსახურიდან განთავისუფლების თარიღი და სამსახურიდან განთავისუფლების ბრძანების ნომერი; სადაზღვევო ბარათი და მისი ტიპი; იმ შემთხვევაში, თუ თანამშრომლის მიერ შერჩეულია სადაზღვევო ბარათის საოჯახო ტიპი დამატებით ოჯახის წევრის სახელი, გვარი.

5.5. დაზღვეული თანამშრომლის სადაზღვევო ბარათის ვადაზე ადრე გაუქმება ხორციელდება მხოლოდ დაზღვეული თანამშრომლის სამსახურიდან წასვლის ან მისი გარდაცვალების შემთხვევაში. ოჯახის წევრების დაზღვევის გაუქმება მზღვეველის მხრიდან განიხილება თანამშრომლის სამსახურიდან წასვლის ან გარდაცვალების შემთხვევაში.

5.6. წერილობით შეატყობინებიდან 1 (ერთი) თვის შემდეგ მხარეებს შეუძლიათ მოშალონ ხელშეკრულება.

5.7. დამზღვევის მიერ სადაზღვევო ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლის, ასევე დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის ან დაზღვეულთა რაოდენობის 30% ან მეტი კლების გამო მზღვეველის მხრიდან ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისას დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს დაზღვევის შეწყვეტის მომენტისათვის პრემიის არსებული დავალიანება სრულად, ასევე დამატებით გადაუხადოს მზღვეველს თანხა წლიური სადაზღვევო პრემიის 25 პროცენტის ოდენობით არაუმეტეს წლიური პრემიისა.

5.8. ამასთან, თუ მზღვეველის მიერ გაწეული ხარჯი აღემატება დამზღვევის მიერ მუხლი #5.7-ით განსაზღვრულ გადასახდელ პრემიას, მზღვეველი უფლებამოსილია დამატებით მოსთხოვოს დამზღვევის მიერ გადასახდელ თანხასა და მზღვეველის მიერ ანაზღაურებელ თანხებს შორის სხვაობის დაფარვაც.

5.9. მხარეები ვალდებული არიან სრულად შეასრულონ ხელშეკრულების შეწყვეტამდე არსებული ურთიერთვალდებულებანი.

6. მხარეთა უფლება – მოვალეობები

6.1. მზღვეველი ვალდებულია:

6.1.1. დადოს სადაზღვევო ხელშეკრულება და გასცეს საიდენტიფიკაციო ბარათი.

6.1.2. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას აუნაზღაუროს დაზღვეულს (ან მოსარგებლეს) ზარალი წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

6.1.3. დაიცვას და არ გაახმაუროს დამზღვევთან საქმიანი ურთიერთობების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, გარდა საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6.2. მზღვეველი უფლებამოსილია:

6.2.1. დამზღვევის მხრიდან ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში შეაჩეროს და/ან შეწყვიტოს სადაზღვევო ხელშეკრულება.

6.2.2. არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დამზღვევის სადაზღვევო კითხვარი-განაცხადის, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში.

6.2.3. თანამშრომლის სამსახურიდან წასვლის შემთხვევაში არ აანაზღაუროს თანამშრომლის (და მისი ოჯახის წევრის) სამსახურიდან წასვლის შემდგომ მიღებული მომსახურების ღირებულება, ხოლო თანამშრომლის დაზღვევა გააუქმოს პირველივე შესაძლო თარიღში.

6.2.4. მომსახურების ხარჯების ანაზღაურების გაცემის შემდეგ, მზღვეველი იტოვებს უფლებას მოითხოვოს შესაბამისი ხარჯების კომპენსაცია იმ პირთაგან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან დაზღვეულის ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანზე.

6.2.5. მოითხოვოს გაცემული ანაზღაურების დაბრუნება, თუ აღმოჩნდა, რომ ზარალის დადგომა არ იყო გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევით ან დამზღვევის/დაზღვეულის ბრალით შეუძლებელია რეგრესის უფლების გამოყენება.

6.2.6. არ აანაზღაუროს სამედიცინო მომსახურება რომელიც დანიშნულია/განხორციელებულია კონკრეტული დარგის არალიცენზირებული/არასერთიფიცირებული ექიმის/სამედიცინო დაწესებულების მიერ.

6.2.7. დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში წერილობით მოითხოვოს დამზღვევისაგან პირგასამტეხლოს გადახდა დავალიანებული პრემიის 0.10%-ს ოდენობით თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის; პირგასამტეხლოს დარიცხვა/ათვლა დაიწყება წერილობით შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან. ამასთანავე პირგასამტეხლო გადაიხდება დამატებით, სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულების მიუხედავად.

6.3. დამზღვევი ვალდებულია:

- 6.3.1.** დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო პრემია სრულად.
- 6.3.2.** სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ შეასრულოს მზღვეველის ყველა მითითება, რაც უკავშირდება სადაზღვევო შემთხვევის ან მოვლენის ასევე ზიანის მოცულობის დადგენას, სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთან და მის შედეგებთან დაკავშირებული მონაცემების მოკვლევა-მოძიებას.
- 6.3.3.** დეტალურად გააცნოს წინამდებარე დაზღვევის პირობები დაზღვეულს.
- 6.3.4.** მინიჭოს მზღვეველს უფლება და შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში გასცეს წერილობითი თანხმობები კანონმდებლობით დადგენილი წესით, იმისათვის რომ მზღვეველმა შეუფერხებლად აწარმოოს მოკვლევა ან/და დამზღვევის/დაზღვეულის და სადაზღვევო შემთხვევის შესახებ ნებისმიერი დოკუმენტაციის მოპოვება სახელმწიფო, კერძო თუ სხვა სახის ორგანიზაციებში სადაზღვევო ხელშეკრულების დადებისთვის, რისკების კონტროლისთვის, სადაზღვევო ანაზღაურებისთვის აუცილებელი ინფორმაციის გადამოწმების და მისი ნამდვილობის დადასტურების მიზნით.
- 6.3.5.** მინიჭოს მზღვეველს უფლება მოითხოვოს/გადამოწმოს დაზღვეულის პირადი მონაცემები საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, სამოქალაქო რეესტრის შესაბამის ტერიტორიულ უწყებაში და ასევე კერძო და საჯარო პირებთან (ადმინისტრაციული) ორგანოებთან.
- 6.3.6.** უზრუნველყოს მზღვეველისათვის იმ დოკუმენტაციის სრულად გადაცემა რომლის საფუძველზეც, მზღვეველი უფლებამოსილი იქნება მოითხოვოს რეგრესული ანაზღაურება პირებისგან, რომლებიც პასუხისმგებელი არიან დაზღვეულისათვის მიყენებულ ზიანზე.
- 6.3.7.** დაზღვეული პირის სამსახურიდან წასვლის შემთხვევაში შეატყობინოს მზღვეველს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ინფორმაცია.
- 6.3.8.** საჭიროების შემთხვევაში გადასცეს მზღვეველს დაზღვეული თანამშრომლის შესახებ ნებისმიერი დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებს თანამშრომლის დამზღვევთან შრომით ურთიერთობაში ყოფნას.
- 6.3.9.** სადაზღვევო მომსახურების კოორდინაციის მიზნით გამოყოს მზღვეველთან საკონტაქტო პირი.

6.4. დამზღვევი უფლებამოსილია:

სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოითხოვოს მზღვეველისაგან ზარალის ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 7.1.** წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 7.2.** სადაზღვევო შემთხვევის გაყალბების ან გაყალბების მცდელობის პირველივე შემთხვევაში, დამზღვევის მიერ იმ პირების დაზღვევის შემთხვევაში, რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით დაზღვევას არ ექვემდებარებიან, სამსახურიდან გათავისუფლებულ პირებზე ინფორმაციის დამალვის და/ან დაგვიანებით მოწოდების შემთხვევაში გადაუხადოს მზღვეველს პირგასამტეხლოს სახით 5 000.00 (ხუთი ათასი) ლარი ყოველ ასეთ პირზე; ასეთ პირებზე დამდგარი სადაზღვევო შემთხვევა ანაზღაურებას არ ექვემდებარება, ხოლო თუ ანაზღაურება უკვე გაცემულია, დამზღვევი ვალდებულია უპირობოდ დაუბრუნოს იგი მზღვეველს; ამასთან ყოველი ასეთი პირის დაზღვევა მზღვეველის მხრიდან ექვემდებარება გაუქმებას.
- 7.3.** მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი დაუზღვეველი შემთხვევების, აგრეთვე ნებისმიერი სახის მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაზე, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის [13] [12] [2020] 00.00 საათიდან და მოქმედებს – [12] [12] [2021] 24.00 საათამდე.

9. დავების გადაწყვეტა

- 9.1.** მხარეებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოავგარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების მიმართ.
- 9.2.** წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების შემთხვევაში მხარეები უთანხმოების მოგვარებისათვის ხელშეწყობის მიზნით მიმართავენ „დაზღვევის მედიაციას“ სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: +995 32 2 555 155 ან ელექტრონულ მისამართზე: mediacia@insurance.org.ge.
- 9.3.** თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.
- 9.4.** გამომდინარე იქედან, რომ მხარეთა მიერ ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულია მზღვეველის ადგილსამყოფელი, დავის განხილვა მოხდება მისი ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ საერთო სასამართლოში.

10. ფორს-მაჟორი

- 10.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაუღებელი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.
- 10.2. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.
- 10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

11. დამატებითი პირობები

- 11.1. ხელშეკრულების დადების საფუძველია დამზღვევის სადაზღვევო კითხვარი-განაცხადი, რომელშიც დამზღვევი აღწერს რისკს.
- 11.2. დამზღვევი აცხადებს, რომ გააჩნია ყველა საჭირო თანხმობა და ნებართვა იმისათვის, რომ დადოს ხელშეკრულება დაზღვეულთა სასარგებლოდ და განახორციელოს აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედებები. დამზღვევი წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით ადასტურებს, რომ ხელშეკრულება და მზღვეველის მიერ მისთვის გადაცემული დანართები, მათ შორის სადაზღვევო წესები არ შეიცავს ბუნდოვან ან უჩვეულო დებულებებს და რომ იგი სრულად გაეცნო და ეთანხმება პირობებს. დამზღვევი ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აგრეთვე ადასტურებს, რომ ყველა დანართსა და ცვლილებას გააჩნია მისთვის სავალდებულო ძალა.
- 11.3. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება წერილობით, შესაბამისი მხარის ხელმოწერით და ძალაშია ხელმოწერის შემდგომ.
- 11.4. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობები ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლებზე და წარმომადგენლებზე.
- 11.5. ყველა დანარჩენ შემთხვევაში, რასაც არ ითვალისწინებს წინამდებარე ხელშეკრულება, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
- 11.6. ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ ნებისმიერი სხვა სიტყვიერი ან წერილობითი შეთანხმება ხელშეკრულებით მოწესრიგებულ საკითხებთან დაკავშირებით ბათილია.
- 11.7. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, სახელშეკრულებო პირობები ატარებენ კონფიდენციალურ ხასიათს და ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია მესამე პირს (პირებს) გადაეცემა(თ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე, მხარეთა მიერ წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევებში.
- 11.8. ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება მხარეთა შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით, ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, მხარეებმა მისამართის შეცვლის შესახებ უნდა აცნობონ ერთმანეთს არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა. მისამართის/ადგილსამყოფელის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მზღვეველისთვის მიუწოდებლობის შემთხვევაში, მზღვეველის მიერ გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება ჩაითვლება დამზღვევის მიერ მიღებულად.
- 11.9. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

12. სპეციფიური პირობები

- 12.1. დაზღვევას არ ექვემდებარებიან დაზღვევის მომენტში ჰოსპიტალურ მკურნალობაზე მყოფი პირები, მწოლიარე პაციენტები, რომელთაც არ შეუძლიათ დამოუკიდებელი გადაადგილება ან/და სჭირდებათ დამხმარე ყოველდღიური საყოფაცხოვრებო აქტივობის შესასრულებლად,
- 12.2. ასაკობრივი ლიმიტი (ასაკის გამოთვლის წესი: მიმდინარე წელს (სადაზღვევო პერიოდის დასაწყისს) გამოკლებული დაბადების წელი):
- 12.2.1. თანამშრომლისთვის – 70 წლამდე. გამონაკლისს წარმოადგენს 70 წლიდან 1 თანამშრომელი.
 - 12.2.2. მეუღლისთვის – 70 წლამდე.
 - 12.2.3. შვილისთვის/გერისთვის – 0 დან 25 წლამდე, ამასთან თანამშრომლის 18 წლამდე შვილის დაზღვევა ხორციელდება საოჯახო ბარათით განსაზღვრული პრემიის გადახდის სანაცვლოდ, ხოლო 18 დან 25 წლამდე შვილის დაზღვევა ხორციელდება ინდივიდუალური პრემიის გადახდის სანაცვლოდ.
- 12.3. სადაზღვევო ბარათის ტიპი:
- 12.3.1. ინდივიდუალური - ინდივიდუალური სადაზღვევო ბარათით ეზღვევა თანამშრომელი და/ან 18-დან 25-წლამდე შვილი.
 - 12.3.2. საოჯახო - საოჯახო ბარათით ეზღვევა თანამშრომელი, მეუღლე და შვილ(ებ)ი 18 წლამდე. საოჯახო ბარათით უნდა განხორციელდეს ოჯახის ყველა წევრის (და არა რომელიმე წევრ(ებ)ის შერჩევითად) დაზღვევა როგორც ორ ისე მრავალწევრიანი ოჯახის შემთხვევაში.
- თანამშრომლისა და ოჯახის წევრის დაზღვევა ხორციელდება მხოლოდ ერთიდაიგივე სადაზღვევო ბარათით
- 12.4. სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დაზღვეულის მიერ სადაზღვევო ბარათის ცვლილება - პოზიციის გათვალისწინებით ინდივიდუალური ბარათის გაუმჯობესება, ინდივიდუალური ბარათის საოჯახო ბარათით ცვლილება მზღვეველის მიერ განიხილება ხელშეკრულების მოქმედების ვადის პირველი ერთი თვის განმავლობაში, იმ შემთხვევაში თუ ამ პერიოდში არ უსარგებლია დაზღვევით. გაუმჯობესებული ბარათების შემდგომი ცვლილება, აგრეთვე აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ბარათის ცვლილება მზღვეველის მიერ არ განიხილება.
- 12.5. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში თანამშრომლის დაზღვევის პირობები:
- 12.5.1. ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, თანამშრომელს, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს დამზღვევთან იმყოფებოდა შრომით ურთიერთობაში ხელშეკრულების მოქმედების ვადის პირველი ერთი თვის განმავლობაში შესაძლებლობა აქვს დაეზღვეს ნებისმიერი (პოზიციის გათვალისწინებით) სადაზღვევო ბარათით.
 - 12.5.2. ახალმიღებული თანამშრომლის დაზღვევა ხორციელდება აყვანისთანავე (წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირველივე შესაძლო თარიღში) შემდეგი პირობით:
 - 12.5.2.1. პირველი 2 თვის განმავლობაში დაზღვევა განხორციელდება ნებისმიერი (პოზიციის გათვალისწინებით) სადაზღვევო ბარათით.
 - 12.5.2.2. მე-3 თვიდან დამატების შემთხვევაში დამზღვევის მიერ შერჩეული შემდეგი ალტერნატივებიდან ერთ-ერთით:
 - დამატების წესი #1**
 - 12.5.2.2.1. მე-3 თვიდან მე-9 თვის ჩათვლით დაზღვეულ პირებზე ონკოლოგიურ დაავადებებზე და შემდეგ მომსახურებებზე: გეგმური ჰოსპიტალური, გეგმური დღის ჰოსპიტალური/ერთ საწოლდღიანი ჰოსპიტალური მოსახურება და ორსულობა/მშობიარობა ვრცელდება მოცდის პერიოდი კონტრაქტის მოქმედების ბოლომდე.
 - 12.5.2.2.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადის ბოლო 3 თვის განმავლობაში პირადი ექიმის მომსახურებითა და გადაუდებელი სერვისებით. ამასთან გადაუდებელ სერვისებზე ბარათით განსაზღვრული დაფარვა და ლიმიტი განახევრდება.
 - დამატების წესი #2**
 - 12.5.2.2.3. მე-3 თვიდან თანამშრომლების დაზღვევა განხორციელდება ნებისმიერი (პოზიციის გათვალისწინებით) სადაზღვევო ბარათით, სადაც კვარტალში ერთხელ 15%-ით შემცირდება ბარათის %-ული დაფარვა და ლიმიტი.
 - 12.5.3. თანამშრომლის, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს დამზღვევთან იმყოფებოდა შრომით ურთიერთობაში, ხელშეკრულების მოქმედების ვადის პირველი ერთი თვის შემდეგ დაზღვევა, აგრეთვე ახალმიღებული თანამშრომლის აყვანიდან ერთი თვის შემდეგ დაზღვევა განხორციელდება პირადი ექიმის მომსახურებითა და გადაუდებელი სერვისებით. ამასთან გადაუდებელ სერვისებზე ბარათით განსაზღვრული დაფარვა და ლიმიტი განახევრდება. ამავე სერვისებით მოხდება წინამდებარე ხელშეკრულების ქვეშ დაზღვევაგაუქმებული თანამშრომლის ხელახალი დაზღვევა.
- 12.6. ოჯახის წევრების დაზღვევის პირობები:
- 12.6.1. ოჯახის წევრების დაზღვევის პირობები იმეორებს თანამშრომლის დაზღვევის პირობებს (იხ. დამატების წესი #1 ან 2).
 - 12.6.2. ხელშეკრულების გაფორმებისას თანამშრომლის დაზღვევისთანავე ან ხელშეკრულების მოქმედების ვადის პირველი ერთი თვის განმავლობაში.
 - 12.6.3. ხელშეკრულების მოქმედების პირველი 9 თვის განმავლობაში თანამშრომლის მიერ ოჯახის წევრების დაზღვევა განხორციელდება დაზღვეული თანამშრომლის დაოჯახების, შვილის შეძენის ან შვილად აყვანის შემთხვევაში

დაოჯახებიდან/შვილის შეძენიდან/შვილად აყვანიდან 2 კვირის შემდგომ პირველივე შესაძლო თარიღში (პირად მონაცემებთან ერთად ქორწინების და/ან ჯვრისწერის, დაბადების მოწმობის წარმოდგენის საფუძველზე).

12.6.4. ახალმიღებული თანამშრომლის მიერ ოჯახის წევრების დაზღვევა განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის წევრი უწყვეტად აგრძელებს დაზღვევას (სულ მცირე 12 თვიანი უწყვეტი დაზღვევის პერიოდი).

12.6.5. დაზღვეული თანამშრომლის მიერ ოჯახის წევრების დაზღვევა (გარდა დაოჯახების, შვილის შეძენისა ან შვილის აყვანისა), აგრეთვე ბოლო სამი თვის განმავლობაში ოჯახის წევრის დაზღვევა მზღვეველის მიერ არ განიხილება.

12.7. საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირების დაზღვევის პირობები:

12.7.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სადაზღვევო პრემიის 150%-ის გადახდის სანაცვლოდ სადაზღვევო პირობების უცვლელად

12.7.2. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სადაზღვევო პრემიით და შემდეგი დამატებითი შეზღუდვით - სამედიცინო მომსახურება აუნაზღაურდებათ საქართველოს მოქალაქისთვის განკუთვნილი ფასებით და საყოველთაო/თუ სხვა პროგრამების გათვალისწინებით (რაც გულისხმობს, რომ ქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებს პროგრამის მიღმა დაუფინანსდება მხოლოდ ის ხარჯი, რაც აუნაზღაურდებოდა საქართველოს მოქალაქეს იგივე პროგრამით სარგებლობის შემთხვევაში)

დაზღვევის მიერ შეირჩა დამატების წესი # [12.7.2.]

დანართი #1 - დაზღვევის პირობები

1. სადაზღვევო პირობებით გათვალისწინებულ მომსახურებათა განმარტებები:

- 1.1. **24/24 ცხელი ხაზი** - ითვალისწინებს სადღეღამისო სატელეფონო სადაზღვევო კონსულტაციას, მიმდინარე სამედიცინო დაზღვევასთან დაკავშირებულ საკითხების მოგვარებას.
- 1.2. **ექიმის სატელეფონო კონსულტაცია** - ითვალისწინებს კლინიკა კურაციოს პირადი ექიმის მიერ გეგმური სამედიცინო საკითხების შეთანხმებასა და ორგანიზებას, ქრონიკული დაავადების დროს დანიშნული მედიკამენტების რეცეპტების ვადის გახანგრძლივებასა და დანიშნული კვლევების შედეგების მონიტორინგს სატელეფონო კონსულტაციის საშუალებით.
- 1.3. **პირადი ექიმი** – ითვალისწინებს კომპანიის მიერ მითითებული პირადი ექიმის (ზოგადი პრაქტიკის ექიმი და/ან პედიატრის) კონსულტაციას პირადი ექიმის სამსახურის ბაზაზე, მის მიერ ჯანმრთელობის მუდმივ მეთვალყურეობას, საჭიროების შემთხვევაში მიმართვებით და დანიშნულებით უზრუნველყოფას.
- 1.4. **პროფილაქტიკური გამოკვლევები** - ითვალისწინებს სამედიცინო ჩვენების გარეშე ჯანმრთელობის შემოწმების მიზნით სქესის და ასაკის გათვალისწინებით შემდეგი სამედიცინო მომსახურებების ანაზღაურებას პირადი ექიმის სამსახურის ბაზაზე:

სამედიცინო მომსახურების წლიური (12 თვის განმავლობაში) ჯერადობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით							
სამედიცინო მომსახურება	ასაკობრივი ჯგუფები						
	ბავშვი	ქალი			კაცი		
		0-14	15- 29	30-49	50-60	15- 29	30-49
პირადი ექიმის კონსულტაცია	1	1	1	1	1	1	1
სისხლის საერთო ანალიზი	1	1	2	2	1	2	2
შაქარი სისხლში				1			1
ქოლესტერინი			1	1		1	1
შარდის საერთო ანალიზი	1	1	1	1	1	1	2
განავლის ანალიზი ფარულ სისხლდენაზე			1	1		1	1
პაპ ტესტი		1	1	1			
ექიმამოგრაფია			1	1			
კვბ			1	2		1	1
PSA							1

- 1.5. **სასწრაფო სამედიცინო დახმარება** – ითვალისწინებს სამედიცინო ჩვენებით სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ სამედიცინო მომსახურებას, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში დაზღვეულის სასიცოცხლო ფუნქციების შენარჩუნების მიზნით შემთხვევის ადგილიდან სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირებას.
- 1.6. **ჰოსპიტალური მომსახურება** - ითვალისწინებს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამდგარ სამედიცინო მომსახურებას (მედიკამენტები; დიაგნოსტიკური მანიპულაციები; თერაპიული და ქირურგიული მკურნალობა; სტანდარტულ, რეანიმაციულ და/ან ინტენსიური პალატაში დაყოვნება), რომელიც ტარდება შესაბამისი ჰოსპიტალური მომსახურების ლიცენზიის მქონე სამედიცინო დაწესებულებაში, როდესაც პაციენტის საწოლზე დაყოვნების ხანგრძლივობა აღემატება 1 საწოლდღეს.
 - 1.6.1. **ჰოსპიტალური მომსახურება უბედური შემთხვევის გამო** - ითვალისწინებს გარეშე ძალის (ფიზიკური, მექანიკური, თერმული, ქიმიური) ზემოქმედების შედეგად ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისას იმ სამედიცინო ღონისძიებებს, რომელთა 24 საათზე მეტი ხნით გადავადება იწვევს დაზღვეულის დაინვალიდებას ან ლეტალურ გამოსავალს.
 - 1.6.2. **გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურება** -
 - **გადაუდებელი (კრიტიკული) ჰოსპიტალური მომსახურება** - სიცოცხლის გადასარჩენად მიმართული ჰოსპიტალური მომსახურება ერთდროული რეანიმაციით. ჩარევა იწყება გადაწყვეტილების მიღებიდან რამდენიმე წუთში.
 - **სასწრაფო-დაუყოვნებელი ჰოსპიტალური მომსახურება** - მწვავედ დაწყებული ან/და კლინიკურად გაუარესებული, სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობების დროს განსახორციელებელი ჰოსპიტალური მომსახურება, როცა სამედიცინო მომსახურება იწყება სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს პირველ 24 საათში.
 - 1.6.3. **გეგმური/სასწრაფო დაყოვნებადი ჰოსპიტალური მომსახურება**
 - **სასწრაფო დაყოვნებადი ჰოსპიტალური მომსახურება** - იგეგმება სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან რამდენიმე დღეში.
 - **გეგმური ჰოსპიტალური მომსახურება** - იგეგმება პაციენტისთვის, ექიმისთვის და/ან სამედიცინო დაწესებულებისათვის მოსახერხებელ დროს მონაკვეთში.
- 1.7. **დღის ჰოსპიტალური/ერთ საწოლდღიანი ჰოსპიტალური მომსახურება** - ითვალისწინებს გადაუდებელ და გეგმური დღის ჰოსპიტალურ (დღის ჰოსპიტალური მომსახურება - მომსახურება, რომელიც ტარდება შესაბამისი ლიცენზიის მქონე სამედიცინო დაწესებულებაში, ისე რომ დაზღვეული იკავებს საწოლს) და ერთ საწოლდღიან ჰოსპიტალურ (ერთ საწოლდღიანი ჰოსპიტალური მომსახურება - მომსახურება, რომელიც ტარდება შესაბამისი ლიცენზიის მქონე სამედიცინო დაწესებულებაში, ისე დაზღვეულის დაყოვნება საწოლზე სამედიცინო ჩვენებით არ აღემატება 1 საწოლ-დღეს) სამედიცინო მომსახურებას (თერაპიული და ქირურგიული მკურნალობა; სამკურნალო მანიპულაციები; სტანდარტულ პალატაში დაყოვნება, ჰოსპიტალში მკურნალობისას საჭირო დიაგნოსტიკური კვლევები და მედიკამენტები). აგრეთვე მათ გართულებებს (იგულისხმება, როგორც დაზღვეულის სამედიცინო დაწესებულებიდან გაწერამდე, ასევე, გაწერის შემდგომ განვითარებული გართულებები), გარდა

გადაუდებელი (კრიტიკული) ჰოსპიტალური მომსახურებისა. დღის ჰოსპიტალური მომსახურებით ანაზღაურდება დანართი #2-ით განსაზღვრული შემთხვევები, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ჩარევა, რომელიც არ ხვდება დანართი #2-ით განსაზღვრულ ჩამონათვალში და რომლის ჰოსპიტალში მოთავსების სამედიცინო ჩვენება არ აღემატება ერთ საწოლდღეს, გარდა გადაუდებელი ამბულატორიის პოზიტიური სიით განსაზღვრული შემთხვევებისა, რომელიც თავის მხრივ ანაზღაურდება გადაუდებელი ამბულატორიის (კონკრეტული ჩარევები) და გეგმური ამბულატორიის (კონკრეტული ჩარევის მიღმა დარჩენილი სამედიცინო მომსახურება) დაფარვითა და ლიმიტით ფარგლებში.

1.8. ონკოლოგიური მომსახურება - ითვალისწინებს ონკოლოგიური დაავადების მკურნალობას (სხივურ, რადიო, ქიმიო, ჰორმონო, ადიუვანტურ თერაპიას, ძვლის რეზორბციაზე მოქმედ მედიკამენტებს, მონოკლონურ ანტისხეულებს), მასთან დაკავშირებულ გართულებებსა და დამხმარე მედიკამენტურ მკურნალობას, აგრეთვე ონკოლოგიური თერაპიულ ჰოსპიტალურ მომსახურებას.

1.9. ამბულატორიული მომსახურება -

1.9.1. გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება - ითვალისწინებს პოზიტიური სიით განსაზღვრული შემთხვევების დროს საჭირო ქვემოთ ჩამოთვლილ სამედიცინო მომსახურებას, რომელიც დაზღვეულს უნდა გაეწიოს შემთხვევის დადგომიდან პირველი 24 საათის განმავლობაში და პაციენტის კლინიკაში დაყოვნების ხანგრძლივობა არ აღემატება 1 საწოლდღეს.

პოზიტიური სია:

- გარეშე ძალის (ფიზიკური, მექანიკური, თერმული, ქიმიური) ზემოქმედების შედეგად სხეულის დაზიანება - ექიმის კონსულტაცია, ჭრილობის ქირურგიული დამუშავება/შეხვევა/გაკერა, ტრამვის დროს რენტგენოლოგიური კვლევა (საჭიროების შემთხვევაში კომპიუტერული ტომოგრაფია სამედიცინო ჩვენების შესაბამისად) და იმობილიზაცია; დეზინტოქსიკაცია/ ინფუზიური თერაპია, სისხლის საერთო ანალიზი, კრეატინინი, ელექტროლიტები, ექოსკოპიური კვლევა.

- გულის რითმის დარღვევები - ექიმის კონსულტაცია, ეკგ, რითმის სტაბილიზაცია.

- ინტოქსიკაცია - ექიმის კონსულტაცია, დეზინტოქსიკაცია/ინფუზიური თერაპია, ლაბორატორიული კვლევები.

- ჰიპერტონული კრიზი - ექიმის კონსულტაცია, ელექტროკარდიოგრაფია, არტერიული წნევის სტაბილიზაცია, სისხლის საერთო ანალიზი, შარდის საერთო ანალიზი, ელექტროლიტები, კრეატინინი, სისხლის ბიოქიმიური ანალიზი.

- ცხვირიდან სისხლდენა - ექიმის კონსულტაცია, ტამპონადა, კოაგულანტები.

- თირკმლის, აბდომინური, ნაღველ-ვენჭოვანი კოლიკა - ექიმის კონსულტაცია, სისხლის და შარდის საერთო ანალიზები, ექოსკოპია, ი/ვ ინფუზია, ანალგეზიური და სპაზმოლიზური საშუალებები.

- ასთმური სტატუსი - ექიმის კონსულტაცია, მედიკამენტოზური თერაპია, შეტევის კუპირება.

- მწვავე/ სიცოცხლისათვის საშიში ალერგიული რეაქცია - ექიმის კონსულტაცია, ანტიალერგიული მკურნალობა.

- მწვავე ობსტრუქციული ლარინგიტი (კრუპი) - ექიმის კონსულტაცია, შეტევის კუპირება.

- შარდის შეკავება - ექიმის კონსულტაცია, კათეტერიზაცია (შარდის გამოშვება), ი/ვ ინფუზია, შარდის საერთო ანალიზი, საშარდე სისტემის ექოსკოპია.

- ზედა სასუნთქ გზებში, სასმენ ხვრელში, საჭმლის მომნელებელ სისტემაში უცხო სხეულის მოხვედრა - ექიმის კონსულტაცია, უცხო სხეულის ამოღება.

- გადაუდებელი ვაქცინაცია - ექიმის კონსულტაცია, ანტირაბიული, ანტიტეტანური, ბოტულიზმის საწინააღმდეგო, ანტიგიურზინის ვაქცინა/შრატი, ამბულატორიული მანიპულაციის ვიზიტი.

- ტკივილი გულმკერდის არეში - ექიმის კონსულტაცია, ეკგ, კარდიოექსკოპია, ტროპონინი, ტკივილის კუპირება.

- ტკივილი მუცლის არეში - ექიმის კონსულტაცია, მუცლის ღრუს ექოსკოპია, ტკივილის კუპირება.

1.9.2. გეგმური ამბულატორიული მომსახურება - ითვალისწინებს სამედიცინო მომსახურებას - სპეციალისტის კონსულტაცია, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევები, ამბულატორიული მანიპულაციები - როდესაც პაციენტი კლინიკაში არ იკავებს საწოლს, დიაგნოსტიკურ მანიპულაციებს მიუხედავად საწოლზე დაყოვნებისა (იმ შემთხვევაში, თუ პაციენტის კლინიკაში დაყოვნების ხანგრძლივობა არ აღემატება 1 საწოლდღეს).

1.9.2.1. გეგმური ვაქცინაცია - ითვალისწინებს მაღალი რისკის ჯგუფებში გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციას (ნოემბერი-დეკემბერი).

1.10. მედიკამენტები - საქართველოს კანონდებლობით რეგისტრირებული მედიკამენტი-ფარმაცევტული პროდუქტი (სამკურნალო საშუალება), რომელიც გამოიყენება სამკურნალოდ, დაავადების თავიდან ასაცილებლად, დარღვეული ფიზიოლოგიური ფუნქციების აღდგენისა და კორექციის მიზნით და რომლის ეფექტურობა და უსაფრთხოება დადასტურებულია ობიექტური მტკიცებულებებით.

1.10.1. საზღვარგარეთ შექმნილი მედიკამენტები - ითვალისწინებს საქართველოს საზღვრებს გარეთ შექმნილი სამედიცინო ჩვენებით, ამბულატორიული მკურნალობის მიზნით, ნებისმიერი ლიცენზირებული ექიმის მიერ დანიშნული (გარდა რეცეპტის გარეშე გასაცემი III ჯგუფს მიკუთვნებული მედიკამენტებისა) მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურებას, რომლის ჯენერიული დასახელება (აქტიური ნივთიერება) დარეგისტრირებულია საქართველოში.

1.11. ორსულობა/ მშობიარობა - ვრცელდება თანამშრომელსა და მის დაზღვეულ მეუღლეზე.

1.11.1. ორსულობა - ითვალისწინებს შესაბამისი მომსახურების ლიცენზიის მფლობელ სამედიცინო დაწესებულებაში საწოლზე დაყოვნების ხანგრძლივობის მიუხედავად ორსულობასთან და მის გართულებასთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურებას (ექიმის კონსულტაცია, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები, მანიპულაციები, სამკურნალო ღონისძიებები, ტრიპლ ტესტი) და აბორტს სამედიცინო ჩვენებით.

1.11.2. მშობიარობა - ითვალისწინებს ფიზიოლოგიურ მშობიარობას, სამედიცინო ჩვენებით საკეისრო კვეთას, მშობიარობის და/ან მის შემდგომ ლოგინობის ხანის გართულების სამედიცინო მომსახურებას (მედიკამენტები, მანიპულაციები, პალატა (სტანდარტული, რეანიმაციული, ინტენსიური), გაუტკივარება სამედიცინო ჩვენებით), გარდა მშობიარობის შემდგომი

სეფსისის, კრიტიკული (სიცოცხლის გადასარჩენად მიმართული) მდგომარეობის, საშვილოსნოს გარე ორსულობისა, რომლებიც განეკუთვნება გადაუდებელ ჰოსპიტალურ მომსახურებას.

1.12. სტომატოლოგია

- 1.12.1. **გადაუდებელი სტომატოლოგია** - ითვალისწინებს სასწრაფო გადაუდებელი შემთხვევის დროს პირველად სტომატოლოგიურ დახმარებას - კბილის სასწრაფოდ ექსტრაქცია, მასთან დაკავშირებული ადგილობრივი ანესთეზია და დიაგნოსტიკური ღონისძიებები (დენტოგრამა, ვიზიო).
- 1.12.2. **გეგმური (თერაპიული და ქირურგიული) სტომატოლოგიური მომსახურება** - ითვალისწინებს დიაგნოსტიკურ ღონისძიებებს (დენტოგრამა, ვიზიო, ორთოპანტომოგრამა), თერაპიულ (კბილის დაბეჭენის, ქვებისა და ნადებების მოცილებას (დახურული კიურეტაჟი ულტრასტომით და პოლირებით)) და ქირურგიულ სტომატოლოგიურ (ექსტრაქცია, მათ შორის ზეგომპლექსური და რეტენირებული კბილების ექსტრაქცია) მომსახურებას, ადგილობრივ ანესთეზიას.
- 1.12.3. **ორთოპედიული სტომატოლოგიური მომსახურება** - ითვალისწინებს კბილებისა და კბილთა მწკრივების დეფექტების აღდგენას ორთოპედიული კონსტრუქციებით, თერაპიული და ქირურგიული სტომატოლოგიური მომსახურების ისეთ სერვისებს, რომელთა გაწევაც საჭიროა ორთოპედიული სამუშაოების მოსამზადებლად, დიაგნოსტიკურ ღონისძიებებს.
- 1.12.4. **ორთოდონტიული სტომატოლოგიური მომსახურება** - ითვალისწინებს კბილთა დგომის, კბილთა მწკრივის და თანკბილვის ანომალიების მკურნალობას, თერაპიული და ქირურგიული სტომატოლოგიური მომსახურების ისეთ სერვისებს, რომელთა გაწევაც საჭიროა ორთოდონტიული სამუშაოების მოსამზადებლად, დიაგნოსტიკურ ღონისძიებებს.
- 1.12.5. **დენტალური იმპლანტაციური მომსახურება** - ითვალისწინებს იმპლანტატის ჩანერგვას დანაკლისი კბილ(ებ)ის და მათი ფუნქციის აღდგენის მიზნით, თერაპიული და ქირურგიული სტომატოლოგიური მომსახურების ისეთ სერვისებს, რომელთა გაწევაც საჭიროა დენტალური იმპლანტაციის მოსამზადებლად, დიაგნოსტიკურ ღონისძიებებს.

დამატებითი მომსახურებები:

- 1.13. **რთული სამედიცინო შემთხვევების მართვა** - ითვალისწინებს ისეთ შემთხვევების კონსილიუმის ადმინისტრირებას, როდესაც საქართველოში დამკვიდრებული სახელმწიფო პროტოკოლების/გაიდლაინების მიხედვით ჩატარებული კლინიკური, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევების საფუძველზე რამოდენიმე სპეციალისტს გააჩნია განსხვავებული მოსაზრება დიაგნოსტიკურ და/ან მკურნალობის სქემის შერჩევასთან.
- 1.14. **საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურება** - ითვალისწინებს საქართველოს საზღვრებს გარეთ გეგმურ ჰოსპიტალურ, დღის ჰოსპიტალურ, გეგმურ ამბულატორიულ დიაგნოსტიკურ მომსახურებასა და სხივურ, რადიო, ქიმიოთერაპიას.
- 1.15. **საქართველოში აღებული გამოსაკვლევი მასალის საზღვარგარეთ გამოკვლევა** - ითვალისწინებს საქართველოში აღებული გამოსაკვლევი მასალის საზღვარგარეთ გამოკვლევას.
- 1.16. **დამატებითი მომსახურება გეგმური ჰოსპიტალური მომსახურების დროს** - ითვალისწინებს გეგმური ჰოსპიტალიზაციის დროს აყვანილი/მოწვეული ექიმის ჰონორარს, პალატის გაუმჯობესებას.
- 1.17. **დამატებითი მომსახურება შშობიარობის დროს** - ითვალისწინებს აყვანილი/მოწვეული ექიმის ჰონორარს, კვებას, არასტანდარტულ პალატასა და სამედიცინო ჩვენების გარეშე გაუტკივარებას.
- 1.18. **ექთნის მომსახურება ბინაზე** - ითვალისწინებს პოსტჰოსპიტალურ პერიოდში, სამედიცინო დაწესებულებიდან გაწერიდან 2 კვირის განმავლობაში, მკურნალი ექიმის მიერ დანიშნულ და ექთნის მიერ ბინაზე ჩატარებულ სამკურნალო მანიპულაციებს.
- 1.19. **ფიზიოპროცედურები** - ითვალისწინებს კლინიკა კურაციოს მიერ წარმოებულ ფიზიოთერაპიულ პროცედურებს.
- 1.20. **კურაციო გამონაკლისების გარეშე (ვრცელდება მირითადი გამონაკლისებით დაზღვეულ პირებზე)** - ითვალისწინებს კლინიკა კურაციოს მიერ წარმოებულ სერვისების (სპეციალისტის კონსულტაცია, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული კვლევები) დაფინანსებას მიუხედავად მირითად გამონაკლისებში არსებული შეზღუდვებისა.

დამატებითი პროდუქტები (ვრცელდება თანამშრომელზე):

- 1.21. **სამოგზაურო დაზღვევა** - ითვალისწინებს საზღვარგარეთ მოგზაურობისას გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას "ჯი პი აი ჰოლდინგის" სამოგზაურო დაზღვევის სტანდარტული პირობების შესაბამისად.
- 1.22. **უბედური შემთხვევის დაზღვევა** - ითვალისწინებს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად დაზღვეულის გარდაცვალებისას მოსარგებლისთვის სადაზღვევო თანხის ანაზღაურებას "სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგის" უბედური შემთხვევის დაზღვევის სტანდარტული პირობების შესაბამისად.

2. ქმედება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, ანაზღაურებისთვის საჭირო დოკუმენტაცია

a) ქმედება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

- 2.1. **24/7 ცხელი ხაზი** - ცხელ ხაზთან დაკავშირების მიზნით დაზღვეული რეკავს 2 505 111, მობილურიდან * 5111.
- 2.2. **ექიმის სატელეფონო კონსულტაცია** - დაზღვეულს, რომელსაც ემსახურება კლინიკა „კურაციო“ შესაძლებლობა აქვს ჩაეწეროს პირად ექიმთან სატელეფონო კონსულტაციაზე, როგორც ქოლ ცენტრის, ისე myepi.ge-ს მეშვეობით იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული ვერ ახერხებს სასურველ დროს ოჯახის ექიმთან ჩაწერას ან სურს დისტანციური სერვისის მიღება. პირადი ექიმი, დაგეგმილ დროს თავად დაუკავშირდება დაზღვეულს მითითებულ ნომერზე.
- 2.3. **პირადი ექიმი** - პირად ექიმთან ჩაწერის მიზნით დაზღვეული უკავშირდება კომპანიის ან კლინიკის ცხელ ხაზს და გეგმავს ვიზიტს. აგრეთვე myepi.ge-ს საშუალებით დაზღვეული რეგისტრირდება არჩეულ ექიმთან სასურველ დროს კლინიკა კურაციოში ან რეგიონის

პირადი ექიმის სამსახურის კლინიკაში (mygpi.ge-ის მეშვეობით ჩაწერის განსახორციელებლად კლინიკების ჩამონათვალი იხ. მუხლში #4 (ჯიპიას პროვაიდერი სამედიცინო დაწესებულებები).

2.4. პროფილაქტიკური გამოკვლევები - დაზღვეული მიმართავს პირად ექიმს, რომელიც უზრუნველყოფს დაზღვეულს მიმართვით პირადი ექიმის სამსახურის ბაზაზე.

2.5. სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახებისას დაზღვეულს შეუძლია ისარგებლოს შემდეგი ოფციებით: დაზღვეული უფლებამოსილია მიმართოს ნებისმიერ ლიცენზირებულ სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ბრიგადას.

- დაზღვეული ან სხვა დაინტერესებული პირი უკავშირდება კომპანიის ცხელ ხაზს. ცხელი ხაზის მეშვეობით პროვაიდერ სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ბრიგადისთვის საიდენტიფიკაციო ბარათისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენისას დაზღვეული თავისუფლდება შესაბამის მომსახურებაში სადაზღვევო პირობით გათვალისწინებული თანხის მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი წილის გადახდისგან.
- დაზღვეული თავად უკავშირდება სასწრაფო გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ბრიგადას, იხდის მომსახურების თანხას სრულად და შემდეგ ანაზღაურების მისაღებად მიმართავს სადაზღვევო ანაზღაურების ჯგუფს ან აგზავნის ელექტრონულად შესაბამის დოკუმენტაციას.

2.6. ჰოსპიტალიზაცია - დაზღვეული უფლებამოსილია თავად აირჩიოს მომსახურე ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულება.

2.6.1. გადაუდებელი ჰოსპიტალიზაციისას, უბედური შემთხვევით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციისას - დაზღვეული, ან სხვა დაინტერესებული პირი, სასურველია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს კომპანიის ცხელ ხაზს - გარდა ობიექტური გარემოებების გამო შეტყობინების დაგვიანებისა, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტაციით. შეტყობინება მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: დაზღვეულის სახელი, გვარი, საიდენტიფიკაციო ბარათის ნომერი, სამედიცინო დაწესებულების დასახელება, სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვის დრო. პროვაიდერ კლინიკაში შეტყობინების გარეშე მიღებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები ანაზღაურდება მზღვეველის მიერ შესყიდული ტარიფით.

- მზღვეველი კომპანიის პროვაიდერ კლინიკასთან აწარმოებს პირდაპირ ანგარიშსწორებას, რის საფუძველზეც დაზღვეული თავისუფლდება შესაბამის მომსახურებაში სადაზღვევო პირობით გათვალისწინებული თანხის მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი წილის გადახდისგან.
- კომპანიის არაკონტრაქტორ კლინიკაში მიმართვისას დაზღვეული იხდის მომსახურების თანხას სრულად და შემდეგ ანაზღაურების მისაღებად მიმართავს სადაზღვევო ანაზღაურების ჯგუფს.

2.6.2. გეგმური ჰოსპიტალიზაციის შესახებ დაზღვეულმა სრულყოფილი დოკუმენტაცია სურვილის შემთხვევაში უნდა წარმოადგინოს მზღვეველთან ჰოსპიტალიზაციის თარიღამდე მინიმუმ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე; იმ შემთხვევაში, თუ პროვაიდერ კლინიკაში გეგმური ჰოსპიტალიზაცია წინასწარ არ არის შეთანხმებული მზღვეველთან და წინასწარ არ არის წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია მომსახურება ანაზღაურდება მზღვეველის მიერ შესყიდული ტარიფით.

- კომპანიის პროვაიდერ კლინიკაში მომსახურების მისაღებად მზღვეველი გასცემს საგარანტიო წერილს, რის საფუძველზეც დაზღვეული თავისუფლდება შესაბამის მომსახურებაში სადაზღვევო პირობით გათვალისწინებული თანხის მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი წილის გადახდისგან.
- კომპანიის არაკონტრაქტორ კლინიკაში მიმართვისას დაზღვეული იხდის მომსახურების თანხას სრულად და შემდეგ ანაზღაურების მისაღებად მიმართავს სადაზღვევო ანაზღაურების ჯგუფს.

2.7. დღის ჰოსპიტალური/ერთ საწოლდიანი ჰოსპიტალური მომსახურება - იხ. ქმედება გეგმური ან გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურების დროს.

2.8. ონკოლოგიური მომსახურება - სხივურ, რადიო, ქიმიო, ადიუვანტურ თერაპიის, მონოკლონური ანტისხეულებით მკურნალობის და თერაპიური ჰოსპიტალური მომსახურების შემთხვევაში იხ. ქმედება გეგმური ჰოსპიტალური მომსახურების დროს; ჰოსპიტალიზაციის და ძვლის რეზორბციაზე მოქმედი მედიკამენტებით მკურნალობის შემთხვევაში იხ. ქმედება მედიკამენტოზური მკურნალობის დროს.

2.9. ამბულატორიული მომსახურება - დაზღვეული უფლებამოსილია თავად აირჩიოს მომსახურე ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულება.

2.9.1. გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება, მათ შორის გადაუდებელი ვაქცინაცია - დაზღვეულმა ან სხვა დაინტერესებულმა პირმა სასურველია აღნიშნულის შესახებ მომსახურების მიღებამდე აცნობოს კომპანიის ცხელ ხაზს. შეტყობინება მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: დაზღვეულის სახელი, გვარი, საიდენტიფიკაციო ბარათის ნომერი, სამედიცინო დაწესებულების დასახელება, სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვის დრო.

- მზღვეველი კომპანიის პროვაიდერ კლინიკასთან შეტყობინების საფუძველზე აწარმოებს პირდაპირ ანგარიშსწორებას, რის საფუძველზეც დაზღვეული თავისუფლდება შესაბამის მომსახურებაში სადაზღვევო პირობით გათვალისწინებული თანხის მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი წილის გადახდისგან.
- შეტყობინების გარეშე მომსახურების მიღებისას, აგრეთვე კომპანიის არაპროვაიდერ კლინიკაში მიმართვისას დაზღვეული იხდის მომსახურების თანხას სრულად და შემდეგ ანაზღაურების მისაღებად მიმართავს სადაზღვევო ანაზღაურების ჯგუფს ან აგზავნის ელექტრონულად შესაბამის დოკუმენტაციას.

2.9.2. გეგმური ამბულატორიული მომსახურება:

- **პირადი ექიმის სამსახურის ბაზაზე:**
- დაზღვეული მიმართავს კომპანიის, წინამდებარე ხელშეკრულების დანართში მითითებულ, პროვაიდერ კლინიკის პირად ექიმს. პირადი ექიმი უზრუნველყოფს დაზღვეულს საჭირო მიმართვით აღნიშნულ კლინიკაში. პირადი ექიმის მიმართვის, სადაზღვევო ბარათისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენისას

- დაზღვეული თავისუფლდება შესაბამის მომსახურებაში სადაზღვევო პირობით გათვალისწინებული თანხის მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი წილის გადახდისგან. აღნიშნული ქმედების დაცვის შემთხვევაში სადაზღვევა ანაზღაურება განხორციელდება მომსახურება „პირადი ექიმის სამსახური/პირველი რიგის პროვაიდერი კლინიკები პირადი ექიმის მიმართვით/მზღვეველთან შეთანხმებით“ დაფარვის გათვალისწინებით.
- პირადი ექიმის მიმართვის გარეშე მომსახურების მიღებისას დაზღვეულს იხდის შესაბამისი მომსახურების თანხას სრულად და ანაზღაურების მისაღებად მიმართავს სადაზღვევო ანაზღაურების ჯგუფს ან აგზავნის ელექტრონულად შესაბამის დოკუმენტაციას. აღნიშნული ქმედების დაცვის შემთხვევაში სადაზღვევა ანაზღაურება განხორციელდება მომსახურება „პირადი ექიმის სამსახური/პირველი რიგის პროვაიდერი კლინიკები პირადი ექიმის მიმართვის გარეშე/ მზღვეველთან შეთანხმების გარეშე, სხვა კლინიკები“ დაფარვის გათვალისწინებით.
 - **პირადი ექიმის მიმართვით პროვაიდერ კლინიკებში:** დაზღვეული მიმართავს პირად ექიმს. პირადი ექიმი უზრუნველყოფს დაზღვეულს მიმართვით კომპანიის პროვაიდერ კლინიკებში. პროვაიდერ კლინიკაში დაზღვეული თავისუფლდება შესაბამის მომსახურებაში სადაზღვევო პირობით გათვალისწინებული თანხის მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი წილის გადახდისგან სადაზღვევო ბარათის, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და პირადი ექიმის მიმართვის წარდგენის საფუძველზე.
 - **პირადი ექიმის მიმართვის გარეშე სამედიცინო დაწესებულებაში:** მიმართვისას დაზღვეული იხდის შესაბამისი მომსახურების თანხას სრულად და ანაზღაურების მისაღებად მიმართავს სადაზღვევო ანაზღაურების ჯგუფს ან აგზავნის ელექტრონულად შესაბამის დოკუმენტაციას.
 - **პირველი რიგის პროვაიდერ კლინიკებში (იხ. მუხლი #4) მომსახურების მიღებისას**
 - დაზღვეული პირადი ექიმის მიმართვის საფუძველზე/სადაზღვევო კომპანიასთან წინასწარი შეთანხმებით იტარებს კვლევებს, რის საფუძველზეც დაზღვეული იხდის მომსახურების ღირებულების მხოლოდ სადაზღვევო პირობებით გათვალისწინებულ წილს. აღნიშნული ქმედების დაცვის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება განხორციელდება მომსახურება „პირადი ექიმის სამსახური/პირველი რიგის პროვაიდერი კლინიკები პირადი ექიმის მიმართვით/მზღვეველთან შეთანხმებით“ დაფარვის გათვალისწინებით.
 - პირადი ექიმის მიმართვის გარეშე/სადაზღვევო კომპანიასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე მომსახურების მიღებისას დაზღვეულ იხდის შესაბამისი მომსახურების თანხას სრულად და ანაზღაურების მისაღებად მიმართავს სადაზღვევო ანაზღაურების ჯგუფს ან აგზავნის ელექტრონულად შესაბამის დოკუმენტაციას. აღნიშნული ქმედების დაცვის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება განხორციელდება მომსახურება „პირადი ექიმის სამსახური/პირველი რიგის პროვაიდერი კლინიკები პირადი ექიმის მიმართვის გარეშე/ მზღვეველთან შეთანხმების გარეშე, სხვა კლინიკები“ დაფარვის გათვალისწინებით.
 - **პრივილეგირებულ პროვაიდერ კლინიკაში (პპ კლინიკების ჩამონათვალი იხილეთ ბმულზე <https://www.gpih.ge/gpih/individuals/pp.php>) მომსახურების მიღებისას**
 - დაზღვეულის საიდენტიფიკაციო ბარათისა და პირადობის მოწმობის საფუძველზე იტარებს კვლევებს: ექიმი სპეციალისტის კონსულტაციას, ნებისმიერი ლიცენზირებული ექიმის მიერ დანიშნულ ინსტრუმენტალურ და ლაბორატორიულ კვლევებს, რის საფუძველზეც დაზღვეული იხდის გამოწერილი ღირებულების მხოლოდ სადაზღვევო პირობებით გათვალისწინებულ წილს. აღნიშნული ქმედების დაცვის შემთხვევაში, თუ პრივილეგირებული პროვაიდერი კლინიკა ამავდროულად წარმოადგენს **მუხლი #4.2-ში მითითებულ** პირველი რიგის პროვაიდერ კლინიკას, სადაზღვევა ანაზღაურება განხორციელდება მომსახურება „პირადი ექიმის სამსახური/პირველი რიგის პროვაიდერი კლინიკები პირადი ექიმის მიმართვით/მზღვეველთან შეთანხმებით“ დაფარვის გათვალისწინებით.
 - საიდენტიფიკაციო ბარათის წარდგენის გარეშე მომსახურების მიღებისას დაზღვეული იხდის შესაბამისი მომსახურების თანხას სრულად და ანაზღაურების მისაღებად მიმართავს სადაზღვევო ანაზღაურების ჯგუფს ან აგზავნის ელექტრონულად შესაბამის დოკუმენტაციას. აღნიშნული ქმედების დაცვის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება განხორციელდება მომსახურება „პირადი ექიმის სამსახური/პირველი რიგის პროვაიდერი კლინიკები პირადი ექიმის მიმართვის გარეშე/ მზღვეველთან შეთანხმების გარეშე, სხვა კლინიკები“ დაფარვის გათვალისწინებით.
 - დიაგნოსტიკური მანიპულაციების ჩატარების დროს, იმ შემთხვევაში, თუ პაციენტი კლინიკაში იკავებს საწოლს იხ. ქმედება დღის ჰოსპიტალური მომსახურების დროს.

2.10. მედიკამენტური მკურნალობის შემთხვევაში - დაზღვეული უფლებამოსილია თავად აირჩიოს მომსახურე სააფთიაქო ქსელი. ერთჯერად ანაზღაურებას ექვემდებარება მედიკამენტების არაუმეტეს ერთი თვის მკურნალობისათვის საჭირო ღირებულების ხარჯები.

- პირადი ექიმი შესაბამისი მედიკამენტის დანიშნულებას გამოწერს კომპანიის ბლანკზე ან დააფიქსირებს ელექტრონულად, რითაც პროვაიდერ სააფთიაქო ქსელებში დაზღვეული იხდის გამოწერილი მედიკამენტების ღირებულების მხოლოდ სადაზღვევო პირობებით გათვალისწინებულ წილს.
- ექიმი სპეციალისტის მიერ დანიშნული მედიკამენტის შეძენისას (პირადი ექიმის მიმართვის არ არსებობის შემთხვევაში, როგორც პროვაიდერ, ისე არაპროვაიდერ სააფთიაქო ქსელში ან პირადი ექიმის დანიშნულებით არაპროვაიდერ სააფთიაქო ქსელში) დაზღვეული იხდის შესაბამისი მომსახურების თანხას სრულად და ანაზღაურების მისაღებად მიმართავს სადაზღვევო ანაზღაურების ჯგუფს ან აგზავნის ელექტრონულად შესაბამის დოკუმენტაციას.

2.10.1. საზღვარგარეთ შეძენილი მედიკამენტური მკურნალობის შემთხვევაში - ექიმი სპეციალისტის მიერ დანიშნული მედიკამენტის შეძენისას დაზღვეული იხდის შესაბამისი მომსახურების თანხას სრულად და ანაზღაურების მისაღებად მიმართავს სადაზღვევო ანაზღაურების ჯგუფს ან აგზავნის ელექტრონულად შესაბამის დოკუმენტაციას. ანაზღაურება განხორციელდება ჯი პი აი-ს პროვაიდერი სააფთიაქო ქსელში არსებული, ანალოგიური ჯენერიული სახელწოდების მქონე მედიკამენტების საშუალო ღირებულებით (არაუმეტეს რეალურად გაწეული ხარჯისა).

2.11. ორსულობა/მშობიარობა - დაზღვეული უფლებამოსილია თავად აირჩიოს მომსახურე ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულება.

2.11.1. ორსულობა – იხ. ქმედება გეგმური ამბულატორიული და ჰოსპიტალური მომსახურების დროს.

2.11.2. მშობიარობა:

- გეგმური საკეისრო კვეთის შესახებ დაზღვეულმა სრულყოფილი დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს მზღვეველთან გეგმური საკეისრო კვეთის თარიღამდე მინიმუმ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე; მშობიარობის ან დაუგეგმავი საკეისრო კვეთის შემთხვევაში - სამშობიარო სახლიდან გაწერამდე 1 დღით ადრე.
- შეტყობინების საფუძველზე კომპანიის პროვაიდერ კლინიკაში მომსახურების მისაღებად მზღვეველი გასცემს საგარანტიო წერილს, რის საფუძველზეც დაზღვეული თავისუფლდება შესაბამის მომსახურებაში სადაზღვევო პირობით გათვალისწინებული თანხის მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი წილის გადახდისგან.
- საგარანტიო წერილის გარეშე, აგრეთვე კომპანიის არაპროვაიდერ კლინიკაში მიმართვისას დაზღვეული იხდის მომსახურების თანხას სრულად და შემდეგ ანაზღაურების მისაღებად მიმართავს სადაზღვევო ანაზღაურების ჯგუფს.

2.12. სტომატოლოგიური მომსახურება

2.12.1. გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურება - დაზღვეული უფლებამოსილია მიმართოს ნებისმიერ ლიცენზირებულ სტომატოლოგიურ კლინიკას.

- კომპანიის, წინამდებარე ხელშეკრულების დანართში მითითებულ პროვაიდერ კლინიკაში მიმართვისას დაზღვეულმა უნდა წარადგინოს საიდენტიფიკაციო ბარათი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. მსგავს შემთხვევაში დაზღვეული თავისუფლდება შესაბამის მომსახურებაში სადაზღვევო პირობით გათვალისწინებული თანხის მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი წილის გადახდისგან.
- კომპანიის არაპროვაიდერ კლინიკაში მიმართვისას დაზღვეული იხდის მომსახურების თანხას სრულად და შემდეგ ანაზღაურების მისაღებად მიმართავს სადაზღვევო ანაზღაურების ჯგუფს ან აგზავნის ელექტრონულად შესაბამის დოკუმენტაციას.

2.12.2. გეგმური სტომატოლოგიური (თერაპიული და ქირურგიული) მომსახურება

ა) ძირითადი სადაზღვევო ბარათებით დაზღვეული უფლებამოსილია მიმართოს ნებისმიერ ლიცენზირებულ სტომატოლოგიურ კლინიკას

- კომპანიის, წინამდებარე ხელშეკრულების დანართში მითითებულ, პროვაიდერ კლინიკაში მიმართვისას დაზღვეულმა უნდა წარადგინოს საიდენტიფიკაციო ბარათი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. მსგავს შემთხვევაში დაზღვეული თავისუფლდება შესაბამის მომსახურებაში სადაზღვევო პირობით გათვალისწინებული თანხის მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი წილის გადახდისგან.
- კომპანიის არაპროვაიდერ კლინიკაში მიმართვისას დაზღვეული იხდის მომსახურების თანხას სრულად და შემდეგ ანაზღაურების მისაღებად მიმართავს სადაზღვევო ანაზღაურების ჯგუფს ან აგზავნის ელექტრონულად შესაბამის დოკუმენტაციას.

ბ) დამატებითი სადაზღვევო ბარათებით GPIH-1 და GPIH-2 დაზღვეული მიმართავს კომპანიის წინამდებარე ხელშეკრულების დანართში მითითებულ კონკრეტულ პროვაიდერ კლინიკას. მიმართვისას დაზღვეულმა უნდა წარადგინოს საიდენტიფიკაციო ბარათი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. მსგავს შემთხვევაში დაზღვეული თავისუფლდება შესაბამის მომსახურებაში სადაზღვევო პირობით გათვალისწინებული თანხის მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი წილის გადახდისგან. მომსახურებებზე, რომელზეც პროვაიდერი კლინიკა დაზღვეულს არ სთავაზობს ფასდაკლებას, მზღვეველის მიერ ანაზღაურებას არ ექვემდებარება.]

2.12.3. ორთოპედიული/ორთოდონტიული სტომატოლოგიური მომსახურება, დენტალური იმპლანტაციური მომსახურება - დაზღვეული მიმართავს კომპანიის წინამდებარე ხელშეკრულების დანართში მითითებულ პროვაიდერ კლინიკას. მიმართვისას დაზღვეულმა უნდა წარადგინოს საიდენტიფიკაციო ბარათი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. მსგავს შემთხვევაში დაზღვეული თავისუფლდება შესაბამის მომსახურებაში სადაზღვევო პირობით გათვალისწინებული თანხის მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი წილის გადახდისგან. მომსახურებებზე, რომელზეც პროვაიდერი კლინიკა დაზღვეულს არ სთავაზობს ფასდაკლებას, მზღვეველის მიერ ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

2.13. რთული სამედიცინო შემთხვევების მართვა - პირადი ექიმი აფიქსირებს კონსილიუმის ჩატარების საჭიროებას, რომელიც თავის მხრივ ათანხმებს მზღვეველთან და ახდენს კონსილიუმის ორგანიზებას სათანადო დარგების წამყვანი სპეციალისტების მონაწილეობით.

2.14. საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურება - დაზღვეულმა სრულყოფილი დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს მზღვეველთან მინიმუმ 10 სამუშაო დღით ადრე; იმ შემთხვევაში, თუ საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურება წინასწარ არ არის შეთანხმებული მზღვეველთან და წინასწარ არ არის წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია, მზღვეველის მიერ არ ანაზღაურდება. დაზღვეული მომსახურების თანხას იხდის სრულად და ანაზღაურების მისაღებად მიმართავს სადაზღვევო ანაზღაურების ჯგუფს.

2.15. საქართველოში აღებული გამოსაკვლევი მასალის საზღვარგარეთ გამოკვლევა - დაზღვეული მომსახურების თანხას იხდის სრულად და ანაზღაურების მისაღებად მიმართავს სადაზღვევო ანაზღაურების ჯგუფს.

- 2.16. დამატებითი მომსახურება გეგმური ჰოსპიტალური მომსახურების დროს - იხ. ქმედება გეგმური ჰოსპიტალიზაციის დროს.
- 2.17. დამატებითი მომსახურება მშობიარობის დროს - იხ. ქმედება მშობიარობის დროს.
- 2.18. ექთნის მომსახურება ზინაზე - იხ. ქმედება “პირადი ექიმის მიმართვის გარეშე სამედიცინო (პროვაიდერ (გარდა პირადი ექიმის სამსახურისა) და არაპროვაიდერ) დაწესებულებაში“. ანაზღაურება განხორციელდება „პირადი ექიმის სამსახური/პირველი რიგის პროვაიდერი კლინიკები პირადი ექიმის მიმართვის გარეშე/მზღვეველთან შეთანხმების გარეშე, სხვა კლინიკები“ დაფარვის შესაბამისად.
- 2.19. ფიზიოპროცედურები - დაზღვეული მიმართავს კლინიკა „კურაციოს“ პირად ექიმს, რომელიც უზრუნველყოფს დაზღვეულს მიმართვით კლინიკა „კურაციოში“.
- 2.20. კურაციო გამონაკლისების გარეშე - დაზღვეული მიმართავს კლინიკა „კურაციოს“ პირად ექიმს, რომელიც უზრუნველყოფს დაზღვეულს მიმართვით კლინიკა „კურაციოში“.

ბ) ანაზღაურების სპეციფიური პირობები

- 2.21. გადაუდებელი ვაჭინაციის ყველა ვიზიტი ფინანსდება გადაუდებელი ამბულატორიის დაფარვისა და ლიმიტის ფარგლებში.**
- 2.22. საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურება** - საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების საჭიროებისას მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი თანხის განსაზღვრა ხდება შემდეგი მეთოდით:
- თუკი სათანადო მკურნალობა საქართველოში ტარდება, მაგრამ დაზღვეულს მაინც აქვს სურვილი მიიღოს მომსახურება საზღვარგარეთ, მკურნალობის ხარჯები ანაზღაურდება საქართველოში არსებული იმავე მომსახურების საშუალო ფასების მიხედვით. ბარათით დადგენილი ლიმიტისა და დაფარვის გათვალისწინებით.
 - თუკი სათანადო მომსახურება საქართველოში ვერ ტარდება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არარსებობის გამო, ანაზღაურდება საზღვარგარეთ მომსახურების ხარჯები არაუმეტეს ბარათით დადგენილი დაფარვის და ლიმიტის 50%-ის ოდენობით გათვალისწინებით.

მზღვეველი გასცემს ანაზღაურებას ლარში, შესაბამისი განაცხადის დარეგულირების დღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით.

- 2.23. საქართველოში აღებული გამოსაკვლევი მასალის საზღვარგარეთ გამოკვლევა** - საქართველოში აღებული გამოსაკვლევი მასალის საზღვარგარეთ გამოკვლევის ღირებულების ასანაზღაურებელი თანხის მოცულობის მზღვეველის მიერ განსაზღვრა ხდება შემდეგი მეთოდით:
- თუკი სათანადო გამოკვლევა საქართველოში ტარდება, მაგრამ დაზღვეულს მაინც აქვს მასალის საზღვარგარეთ გამოკვლევის სურვილი, მომსახურების ხარჯები ანაზღაურდება საქართველოში არსებული საშუალო ფასების მიხედვით გეგმური ამბულატორიული მომსახურების ლიმიტისა და დაფარვის გათვალისწინებით.
 - თუკი სათანადო გამოკვლევა საქართველოში ვერ ტარდება, მომსახურების ხარჯები ანაზღაურდება ღირებულების 50%-ით გეგმური ამბულატორიული მომსახურების ლიმიტისა და დაფარვის გათვალისწინებით.

გ) სადაზღვევო ანაზღაურების მისაღებად მზღვეველთან წარმოსადგენი დოკუმენტაცია
500 ლარამდე მიღებული სამედიცინო მომსახურების (მედიკამენტები, ამბულატორიული და სტომატოლოგიური მომსახურება) ანაზღაურება შესაძლებელია დისტანციურად დაზღვეულის პირადი კაბინეტიდან: www.mygpil.ge, მობილურია აპლიკაციის საშუალებით: GPIMOBILE (ამბულატორიული მომსახურება, მედიკამენტები) ან ადგილზე ანაზღაურების ჯგუფში მომსახურების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.

სხვა სამედიცინო მომსახურების, ასევე 500 ლარზე მეტი მედიკამენტების, ამბულატორიული და სტომატოლოგიური მომსახურების მიღებისას, ანაზღაურების მიღება შესაძლებელია კომპანიის სერვის ცენტრებში:

- I. ანაზღაურების მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:
- პირადობის მოწმობა
 - საიდენტიფიკაციო ბარათი
 - მომსახურების დეტალური განფასება/კალკულაცია, მედიკამენტების შემთხვევაში ამონაწერი შექმნილი მედიკამენტების შესახებ
 - სალაროს ქვითარი, სსდ შემთხვევაში - ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი ფორმით სტამბური წესით დაბეჭდილი ჩვეთან გათანაბრებული დოკუმენტი
 - ფორმა #100 მიღებული მომსახურება დეტალური აღწერით; გეგმური ამბულატორიული მომსახურების, საქართველოში აღებული გამოსაკვლევი მასალის საზღვარგარეთ გამოკვლევისა, ორსულობის, მედიკამენტების, შესაძლებელია მომსახურე დაწესებულების/ექიმის ბეჭდითა და ხელმოწერით დადასტურებული ექიმი სპეციალისტის დანიშნულება, სსდ შემთხვევაში შესაძლებელია ჩატარებული მომსახურების დამადასტურებელი სამედიცინო დოკუმენტაცია; გადაუდებელი/გეგმური სტომატოლოგიური მომსახურების შემთხვევაში მომსახურე დაწესებულების/ექიმის ბეჭდითა და ხელმოწერით დადასტურებული ჩატარებული მომსახურების დეტალურ სამედიცინო დოკუმენტაცია.
 - სპეციფიური დოკუმენტაცია - მშობიარობის შემთხვევაში ბავშვის დაბადების მოწმობა; გეგმური სტომატოლოგიური მომსახურების შემთხვევაში მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ გადაღებული დენტოგრამები ან ვიზო; ექთნის მომსახურება ბინაზე - ჰოსპიტალური მკურნალობის ამსახველი ფორმა #100, რომელშიც დაფიქსირებულია ბინაზე ჩასატარებელი მანიპულაციები; საზღვარგარეთ მკურნალობის შემთხვევაში პასპორტი, სადაც აღნიშნული იქნება საქართველოს საზღვრის გადაკვეთის თარიღები; სამედიცინო დოკუმენტების/ქვითრების ნათარგმნი ვერსია (ორიგინალებთან ერთად); საზღვარგარეთ შექმნილი მედიკამენტების შემთხვევაში ამონაწერი, ჩვეი შექმნილი მედიკამენტების შესახებ ნათარგმნი ვერსია (ორიგინალებთან ერთად).
- II. ონლაინ ან აპლიკაციით ამბულატორიული სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების (500 ლარამდე) თანხის ანაზღაურების შემთხვევაში წარმოსადგენი დოკუმენტაცია: ექიმის დანიშნულება/სამედიცინო ფორმა # 100, მომსახურების დეტალური განფასება/კალკულაცია, მედიკამენტების შემთხვევაში ამონაწერი შექმნილი მედიკამენტების შესახებ და გადახდის ქვითარი. ხოლო სტომატოლოგიური მომსახურების შემთხვევაში: მიღებული მომსახურების დეტალური ჩამონათვალი, გადახდის ქვითარი და ვიზიოს ელექტრონული ვერსია (მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ).

3. ანაზღაურებას არ ექვემდებარება ქვემოთ ჩამოთვლილი დაავადებებთან/მდგომარეობებთან და/ან მათ გართულებებთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები
- 3.1. **შემდეგი მოვლენებით/გარემოებებით განპირობებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან და/ან მათ გართულებებთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები:** თვითმკურნალობა, თვითდაშავება, თვითმკვლელობის მცდელობა, კრიმინალურ (კანონსაწინააღმდეგო) აქტში მონაწილეობა, თავისუფლების აღკვეთის პერიოდში ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, ნარკოტიკული და ტოქსიური ნივთიერებების ზემოქმედება, ასევე ამ ნივთიერებათა და ალკოჰოლურ ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნისას ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვისას მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევა, ნებისმიერი სახის პროფესიულ სპორტში მონაწილეობა; გამოცხადებული ეპიდემიასთან და პანდემიასთან უშუალოდ დაკავშირებული ხარჯები.
- 3.2. **შემდეგ დაავადებებთან ან/და მათ გართულებებთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები:** ალკოჰოლიზმი, ტოქსიკომანია, ნარკომანია, თანდაყოლილი ან/და გენეტიკური დაავადებები/დეფექტები/პათოლოგიები (გარდა თიაქრის, კრიპტორხიზმის, დერმოიდული კისტის, ფიმოზის, დაკრიოციტიტისა და ჰემანგიომისა), რეპროდუქციული ფუნქციის დარღვევა, აივ-ინფექცია, შიდსი, ჰეპატიტები (გარდა "ა" ტიპისა) (ნებისმიერი ფორმისა და სტადიის, გარდა პირველადი სასკრინინგო დიაგნოსტიკისა, რომელიც ითვალისწინებს ექიმის კონსულტაციასა და სწრაფ-მარტივ ტესტს), უპირატესად სქესობრივი გზით გადამდები (გარდა ვულვოვაგინალური კანდიდიასის, ბაქტერიული ვაგინოზისა და ურეთრისა) დაავადებები (გარდა პირველადი სასკრინინგო დიაგნოსტიკისა, რომელიც ითვალისწინებს: ექიმის კონსულტაციასა და ნაცხის ბაქტერიოსკოპიას), სექსუალური დარღვევები, ფსიქიური დაავადებები, ქცევითი აშლილობები; შაქრიანი დიაბეტი (გარდა ამბულატორიული მონიტორინგისა და მწვავე შემთხვევაში ჰოსპიტალში კონსერვატიული მკურნალობისა); COVID 19.
- 3.3. **შემდეგი მომსახურებების/პროცედურების და/ან მათ გართულებებთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები:** ექსპერიმენტული და ალტერნატიული მედიცინა; სამედიცინო ჩვენების გარეშე ჩატარებული მომსახურება; ექსკლუზიური/დამატებითი სამედიცინო, აყვანილი/მოწვეული ექიმის ჰონორარი და ნებისმიერი არასამედიცინო მომსახურება (გარდა მშობიარობის და გეგმური ჰოსპიტალიზაციის დროს პირობებით გათვალისწინებული მომსახურებისა); აცრები/ვაქცინაცია/იმუნიზაცია (გარდა პირობებით გათვალისწინებულისა); ნებისმიერი სახის სამედიცინო ცნობის მიღებისთვის საჭირო ხარჯები; რეაბილიტაციური, გამაჯანსაღებელი ღონისძიებები; პალიატიური მოვლა; კოსმეტიკური და პლასტიკური მიზნით ჩატარებული მომსახურება; წონის კორექცია, ეგზოპროთეზირება, ტრანსპლანტაცია, ხელოვნური განაყოფიერება, სტერილიზაცია, კონტრაცეფცია, ფსიქოთერაპევტი, ფსიქოანალიტიკოსი, ჰომეოპათი, ლოგოპედი; რეფრაქციული ანომალიების ლაზერული მეთოდით კორექცია.
- 3.4. ასევე არ ანაზღაურდება შემდეგი საშუალებებით მკურნალობასთან/მათ შექმნასთან და/ან გართულებებთან დაკავშირებული ხარჯები: ბიოლოგიურად აქტიური საკვები დანამატები, პარასამკურნალო და ჰომეოპათიური საშუალებები, სისტემური ენზიმოთერაპია; დამხმარე და მკორეგირებელი საშუალებები, პროთეზები, იმპლანტები (გარდა ბარათით გათვალისწინებულისა).
- 3.5. ნებისმიერი სხვა (სახელმწიფო და არასახელმწიფო) სამედიცინო/ჯანდაცვის პროგრამებით თუ დაზღვევით გათვალისწინებული დაავადებების/მდგომარეობების სამედიცინო მომსახურების/მკურნალობის ხარჯების ის ნაწილი, რაც ანაზღაურდება შესაბამისი პროგრამით/დაზღვევით იმ სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც მოქმედებს აღნიშნული პროგრამა.

4. ჯიპიას პროვაიდერი სამედიცინო დაწესებულებები

4.1. პირადი ექიმის სამსახური/mygpi.ge-ით ჩაწერის შესაძლებლობა

- 4.1.1. ქ. თბილისი - სამედიცინო ცენტრი « კურაცი » - ოთარ ლორთქიფანიძის ქ. #31; ტელ. : 2 43 01 01; mygpi.ge-ით ჩაწერა
- 4.1.2. ქ. თბილისი - საოჯახო მედიცინის ქართულ ამერიკული კლინიკა - ბერბუკის ქ. #10; ტელ. : 2 33 08 33; 2 21 35 03
- 4.1.3. ქ. თბილისი - შპს მედ ინვესტმენტი (ყოფილი დ.ტატიშვილის ვაკის ფილიალი) - თ. აბულაძის ქ. # 8. ტელ.: 2 91 31 19; 2 91 32 42
- 4.1.4. ქ. ბათუმი - შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი - პუშკინის ქ. #118; ტელ.: 0 422 27 83 24; mygpi.ge-ით ჩაწერა
- 4.1.5. ქ. რუსთავი - კლინიკა რუსთავი - VI I მ/რ; ტელ. : 27 59 95; mygpi.ge-ით ჩაწერა
- 4.1.6. ქ. თელავი - უნიმედი კახეთი - სენიაშვილის ქ. 1
- 4.1.7. ქ. ბორჯომი - ჯეოჰოსპიტალს - ბორჯომის ამბულატორიული ცენტრი - სააკაძის ქ. #2; ტელ.: 2 48 72 22
- 4.1.8. ქ. გორი - ნოვამედი - ი. ჭავჭავაძის ქ. #8; ტელ.: 27 60 61
- 4.1.9. ქ. ქუთაისი - ქუთაისის ცენტრალური საავადმყოფო - სოლომონ პირველის ქ. #10. ტელ.: 24 63 22; mygpi.ge-ით ჩაწერა
- 4.1.10. ქ. ქუთაისი - ელ & ჯი - ჩეჩელაშვილის ქ. 16ა; ტელ.: 24 39 35; mygpi.ge-ით ჩაწერა
- 4.1.11. ქ. ფოთი - « ივა მედი ჯორჯია » - რეკვაას ქ. #10; ტელ.: 27 91 91; mygpi.ge-ით ჩაწერა

4.2. პირველი რიგის პროვაიდერი კლინიკები

- 4.2.1. ქ. თბილისი - თბილისის ზღვის ჰოსპიტალი
- 4.2.2. ქ. თბილისი - პირველი სამედიცინო ცენტრი
- 4.2.3. ქ. თბილისი - ჯაფარიძე-ქვეანიშვილის კლინიკა
- 4.2.4. ქ. თბილისი - კონსილიუმ მედულა
- 4.2.5. ქ. თბილისი, ქ. ბათუმი - აკ ვ ივერიელის სახ ენდოკრინოლოგია-მეტაბოლოგია-დიეტოლოგიის ცენტრი ენმედიცი
- 4.2.6. ქ. თბილისი - აკად ნ ყიფშიძის სახ ცენტრალური საუნჩვერსიტეტო კლინიკა
- 4.2.7. ქ. თბილისი - ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკური
- 4.2.8. ქ. თბილისი - თბილისის ცენტრალური საავადმყოფო
- 4.2.9. ქ. თბილისი - ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი
- 4.2.10. ქ. ქუთაისი - ზომონდი
- 4.2.11. ქ. ბათუმი - საგიტარიუსი მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი
- 4.2.12. ქ. ბათუმი - მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი-2010

4.3. გადაუდებელი/გეგმური სტომატოლოგიური მომსახურება

ა) ძირითადი ზარათებისთვის

- 4.3.1. ქ. თბილისი - « უნივერსი - შპს ინტერმედ ტური » - სულხან ცინცაძის ქ.#35; ტელ.: 2 43 02 02
- 4.3.2. ქ. თბილისი - « დენტავიტა » - ვ.ფშაველას 1 შესახვევი #1/43; ტელ.: 2 32 35 69; 2 32 41 88
- 4.3.3. ქ. თბილისი - « + ულტრა დენტი » - გამრეკელის ქ. #7; ტელ.: 2 14 12 68
- 4.3.4. ქ. თბილისი - « მედი-დენტ+ » - არაყიშვილის 1-ელი ჩიხი# 5; ტელ.: 2 91 49 35
- 4.3.5. ქ. თბილისი - « ჰეფი-დენტი » - ნუცუბიძის ქ. #2 ; ტელ.: 2 39 50 53
- 4.3.6. ქ. თბილისი - « Dentiveri + » - ჩიქოვანის ქ. #38 ბ 1; ტელ.: 2 33 20 24
- 4.3.7. ქ. თბილისი - « ზენ დენტალი » - მ. კოსტავას 63; ტელ.: 5 55 70 27 37
- 4.3.8. ქ. თბილისი - « დენტექსი 95 » - რ. ლალიძის ქ. # 8; ტელ.: 2 98 39 90
- 4.3.9. ქ. თბილისი - « ლიდერ-დენტალ ინთერნეიშენალ » - გია ტეტელაშვილის ქ.# 8; ტელ.: 2 30 60 66
- 4.3.10. ქ. თბილისი - « ელენდენტი » - გაზაფხულის 25; ტელ. : 0322477175; 599282500; 595252104
- 4.3.11. ქ. თბილისი - « სმაილი » - ევდოშვილის ქ.# 12 ა.ბ.35; ტელ.: 2 35 02 85
- 4.3.12. ქ. თბილისი - იმ თეა გზირიშვილი (ნიუდენტი) - პეტრიაშვილის 32; ტელ.: 2 29 20 35; 2 22 13 76; 2 22 21 22
- 4.3.13. ქ. თბილისი - იმ თეა გზირიშვილი (ნიუდენტი) - ყაზბეგის 29ა; ტელ.: 2 36 81 61; 2 22 21 22
- 4.3.14. ქ. თბილისი - იმ თეა გზირიშვილი (ნიუდენტი) - ცინცაძის 30; ტელ.: 2 36 22 94; 2 22 21 22
- 4.3.15. ქ. თბილისი - იმ თეა გზირიშვილი (ნიუდენტი) - მიცკევიჩის 18; ტელ. : 2373038; 2 22 21 22
- 4.3.16. ქ. თბილისი - იმ თეა გზირიშვილი (ნიუდენტი) - ჩაჩავას 5; ტელ.: 2 22 21 22
- 4.3.17. ქ. თბილისი - « მ.ტატიშვილის სტომატოლოგიური სპა ცენტრი » - სანდროეულის ქ. #5, მე-4 სართული; ტელ.: 2 20 13 20
- 4.3.18. ქ. თბილისი - « ალბა-დენტი » - ზ.ჭავჭავაძის ქ.#9; ტელ.: 2 30 96 01
- 4.3.19. ქ. თბილისი - შპს დენტა ლუქსი - გაგარინის ქ 4 ა - 577695070, 0322 220 313, 577695055
- 4.3.20. ქ. თბილისი - « ელიტი » - 300 არაგველის მიმდებარედ; ტელ: 0322223051; 0322915226; 555272950; 568915226
- 4.3.21. ქ. თბილისი - დენტალ ჰაუსი - ტაშკენტის ქუჩა 31; ტელ: 0322380067; 595774855
- 4.3.22. ქ. თბილისი - შპს დენტაგრამი - მიცკევიჩის ქ. №18; ტელ: 0322370081; 555370081
- 4.3.23. ქ. თბილისი - ზათიაშვილი თამარ - "დენტუსი" - აღმაშენებლის გამზ. 175/2; ტელ: 0322306932; 599731229
- 4.3.24. ქ. თბილისი - შპს სმაილი გალერი - მცხეთის ქ. 1; ტელ: 599338533; 598113300; 557969339
- 4.3.25. ქ. თბილისი - შპს სტომატოლოგიური კლინიკა სითიდენტი - ს.კანდელაკის #9; ტელ: 2903909; 555442363
- 4.3.26. ქ. თბილისი - შპს ქართულ-ამერიკული ორთოდონტიული ცენტრი ზრეის - ჰაუსი - ს.ცინცაძის ქ N 45; ტელ: 0322440045; 571993122

- 4.3.27. ქ. თბილისი - შპს ქიფ სმაილი - ოთარ ჭილაძის 166/7; ტელ.: 598009038; 574575777
- 4.3.28. ქ. თბილისი - ნინო ტრაპაძე სტომატოლოგიური ცენტრი ინოვა - ა. წერეთლის 141ა; ტელ.: 577475333; 0322351785; 599115343
- 4.3.29. ქ. რუსთავი - შპს მედეორნერ - ჟიული შარტავას გამზ., N 12ა, ბლოკი ა, სართ. 2, ტელ.: 595 22 11 12; 595 73 77 55
- 4.3.30. ქ. რუსთავი - რუსთავის ცენტრალური საავადმყოფო - წმინდა ნინოს ქ. N3; ტელ.: (0341)293173; (0341)293484; (0570)504378
- 4.3.31. ქ. ბათუმი - « დენტა-ლუქსი » - ახმეტელის ქ. 1ბ#2; ჯავახიშვილის ქ. 76/78; ფარნავაზ მეფის 140; ტელ.: 27 37 45; 27 29 76; 27 19 73; 27 52 99
- 4.3.32. ქ. ბათუმი - « შპს ნიუ დენტი » - ს. ხიმშიაშვილის ქ. N20; ტელ.: 032 2 22 21 22
